

# საქართველო

IX წ.

საქართველოში გაზეთი.

IX წ.

№ 41.

კვირა, 7 თებერვალი 1901 წელს.

№ 41.

გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ.; თფილისის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი — სამი შაური.


სელის მოწერა მიიღება: თფილისში — «წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» კანცელარიაში და «კვალის» რედაქციაში, თეატრის ქ., № 12. ტელეფონი № 734.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „КВАЛІ“.

შინაარსი: რუდოლფ ვირხოვი. — საუბარი სხვა-და-სხვა საგნებზე, მოსაუბრისა. — სხვა-და სხვა ამბები. — კავკასიის სამეურნეო საზოგადოების 50 წლის იუბილეი. — კორესპონდენციები. — რუსეთის ცხოვრება. — საზღვარ-გარეთ. — შავი ზღვა (ა. ფრანსიდან), იელისა. — ზნეობრივი კითხვები, ი. გომართელისა. — კავკასიის გამოთენა. — ქართული თეატრი. — ისტორიის მცოდნეთა საუბრადღებოთ, ი. კვიციანიძისა. — მცირე შენიშვნა, ერთი ექიმთაგანისა. — წერილები რედაქციის მიმართ. — განცხადებანი.

## რუდოლფ ვირხოვი.

30 სექტემბერს გერმანიამ იღვესასწაულა თავისი სასიკაძულო მეცნიერისა და ღირსეული მოქალაქის რუდოლფ ვირხოვის 80 წელიწადი. რუდოლფ ვირხოვი დაიბადა 30 სექტემბერს 1821 წელს შიფელბენში. 1843 წელს დაამთავრა კურსი საექიმო ფაკულტეტზე და დარჩა ასისტენტად charité-ს საავათმყოფოში. მალე მან დააარსა ჟურნალი «პათოლოგიური ანატომია და ფიზიოლოგიის არხივი», რომელიც დღესაც საუკეთესო საექიმო ჟურნალად ითვლება მთელ გერმანიაში. 1848 წელს ის დანიშნეს საზოგადო პათოლოგიის პროფესორად ვიურცბურგის უნივერსიტეტში, სადაც მალე მოიხვეჭა შესანიშნავი მეცნიერისა და ორატორის სახელი. ვირხოვის ერთი დიდი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი საექიმო ლექციებშია ცი ატარებდა პოლიტიკურ აზრებს და, რადგანაც იგი გამჭვლელი იყო 48 წლების საუკეთესო იდეებით, ამიტომ იგი არა თუ სიყმაწვილემში, დღესაც ერთი უპატიოსნესი მოქალაქეა მთელ გერმანიაში, — მას დღესაც კი მაღლა უკავია ღრძმა სიმართლისა, თანასწორობისა და თავისუფლებისა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ღრძა მოხუცებულია. 1856 წელს ის გადმოვიდა პროფესორად ბერლინის უნივერსიტეტში და მალე დანიშნეს პათოლოგიური ინსტიტუტის დირექტორად.



რუდოლფ ვირხოვი.

რათ. საექიმო მეცნიერებას ვირხოვმა დიდი ღვაწლი დასდო და თავისი „ცელულარული პათოლოგიის“ თეორიით უკვდავი სახელი მოიხვეჭა. მან დიდი სამსახური გაუწია მეცნიერებას თავისი ანთროპოლოგიური ნაწერე-ბითაც. ვირხოვი შესანიშნავია აგრეთვე როგორც არქეოლოგი. მას აქვს რამდენიმე არქეოლოგიური და გეოლოგიური გამოკვლევანი. მაგრამ უმთავრესი მისი ღვაწლი მეცნიერების და კაცობრიობის წინაშე სამკურნალო მეცნიერების მკვიდრ ნიადაგზე დაყენებაში მდგომარეობს. პათოლოგია მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტ ცოდნას წარმოადგენდა ვირხოვამდე, ვირხოვმა გადააქცია ის მეცნიერებათ და ამით სწეულებათა შესწავლას მტკიცე ნიადაგი მოუპოვა. ამდენათვე შესანიშნავია ვირხოვი თავისი პოლიტიკური მოღვაწეობით. იგი არ გავს იმ მეცნიერთ, რომლებსაც თავის სპეციალური საგნის გარეშე არაფერი აინტერესებს. ჩვენი დროის სოციალური კითხვები უფრო იზიდავდნენ მის ყურადღებას, ვიდრე სპეციალური მეცნიერების ვიწრო ფარგლები და ამიტომ ვირხოვი ერთ-ნაირი სიყვარულით ემსახურებოდა როგორც მეცნიერებას, ისე თავის პოლიტიკური იდეების გატარებას ცხოვრებაში. მესამოცე წლებიდან იგი წევრია ბერლინის მუნიციპალური მმართველობისა და ბერლინის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის და ღარიბთა ჯანმრთელობისა და



მფარველობისათვის მასავით ბევრს არავის უზრუნავს ამ მმართველობაში. როგორც პრუსიის სეიმის დეპუტატი იგი ყოველთვის თავში უდგა პროგრესულ პარტიას და ბოლომდე ვირხოვი თავისუფალ მოაზრეთ დარჩა. მეოთხ-მოცე წლებში ვირხოვი აირჩია ბერლინში თავის დეპუტატად საიმპერიო პარლამენტში და ამ დღიდან მოკიდებული ის მედგრათ ებრძოდა ბისმარკის რეაქციონურ პოლიტიკას. საფრანგეთის დიდი რევოლუციის მიერ ნაანდერძევი აზრები ვირხოვმა სიპატარავიდან შეისისხლობორცა და მათთვის დღემდე არ უღალატნია. არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ მას ამ აზრებისათვის ეღალატნოს და ამიტომ მას უმწიკვლო პატიოსნების პატრონს უძახდნენ და უძახიან თვით მტრებიც კი.

ამ საუკეთესო მამულიშვილის ოთხმოც წელს აღტაცებით მივგება 30 სექტემბერს არა მარტო გერმანიის ყოველი კუთხე, არამედ დედამიწის ყველა ქვეყნებიდან მას მიუვიდა ურიცხვი მილოცვები და დეპუტაციები.

საუბარი სსვა-და-სსვა საკნებზე.

IX.

განვავრძობთ დაწყებული საუბარი. წინა წერილიდან ჩვენ ვიცით, თუ რა ცნობები მოყავს ბ. ჯორჯაძეს ინგლისის მეურნეობის დასახსიათებლათ. ჩვენ იქ დავინახეთ შესაძლებელია თუ არა ასეთი ცნობების საშუალებით იმის დამტკიცება, რომ მეურნეობაში წვრილი წარმოება სხვილ წარმოებას ამარცხებს. ასეთივე ცნობები მოყავს ჩვენ ავტორს სხვა ქვეყნების შესახებაც, და შემდეგ თამამათ გაიძახის, რომ «კონცენტრაციის კანონი» დავარდვიყო. განვიხილოთ ეს ცნობებიც. დავიწყოთ საფრანგეთიდან.

ავტორი ამბობს, რომ საფრანგეთის მიწის ორი მესამედი 6 მილიონ პატარა (წვრილ) მესაკუთრეს ეკუთვნისო. დიდი მესაკუთრეების რიცხვი იქ თანდათან შესამჩნევათ კლებულობსო («ცნ. ფურ.» № 1537). ამასთანავე ბ. ჯორჯაძის სიტყვით, საფრანგეთში კლებულობს დღიურ მუშათა, ფერმერების და მოიჯარეების რიცხვი; სამაგიეროთ მესაკუთრე მიწათმომქედთა რიცხვი მატულობსო. ყოველივე ეს ჩვენ გვჯერა. მაგრამ ამას საჭიროა დაუპირდაპიროთ შემდეგი ცხრილი, რომელიც ამოღებულია საფრანგეთის მეურნეობის ერთი ერთი სარწმუნო წყაროდან<sup>1)</sup>. აი ეს ცხრილიც:

ცალკე მეურნეობის სივრცე.	რაოდენობა მეურნეობათა.		მომატება ანუ დაკლება.	მთელი წარმოების სივრცე ჰექტარ. *)		მომატება ანუ დაკლება.
	1882	1892		1882	1892	
1 ჰექტარზე ნაკლები.	2167667	2235405	+ 67738	1083832	1327253	+ 243420
1—5	1865878	1829259	- 36619	5597634	5189200	- 108434
5—10	769152	788299	+ 19147	5768640	5755500	- 13140
10—40	727222	711118	- 16104	14845960	14313417	- 532243
40 ზევით	142088	138671	- 3417	22296105	22493393	+ 197288

ამ ცხრილის მნიშვნელობა რომ უფრო გარკვევით წარმოვიდგინოთ, მოგვყავს აქ იგივე ცხრილი მხოლოდ პროცენტებათ<sup>2)</sup>:

<sup>1)</sup> Statistique agricole. მოყვანილია კ. კაუტსკის წიგნში „Die Agrarfrage“.

<sup>2)</sup> მოყვანილია ვერტის წიგნში: Agrarische вопросы, გვ. 132.

<sup>\*)</sup> ჰექტარი ფესტინაზე ნაკლებია, უდრის 0,91533 ფესტინისას.

	მეურნეობის რიცხვი		მიწის სივრცე	
	1882	1892	1882	1892
1 ჰექტარზე ნაკლები	32,22%	39,21%	2,19%	2,68%
1—10	46,46	45,90	22,92	22,77
10—40	12,81	12,47	29,93	28,99
40 ზევით	2,51	2,42	44,96	45,56

ამ ცხრილებში მოყვანილი ციფრები ბევრ საგულისხმოდ რამეებს გვეუბნებიან. პირველ ყოვლისა აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ საფრანგეთში შუათანა მეურნეობა თანდათან ჰქრება; შემდეგ, მატულობს მხოლოდ სულ წვრილ მესაკუთრეთა რიცხვი, ე. ი. ფისაც ურთ ჰექტარზე ნაკლები მამული აქვს; იმავე დროს კლებულობს დიდ მესაკუთრეთა რიცხვი, მაგრამ იმათი მამულის საერთო რაოდენობა მატულობს. იმავე ცნობებიდან ჩვენ ვტყობილობთ, რომ საფრანგეთში დიდ მემამულეთა ხელში იმყოფება თითქმის მთელი საფრანგეთის ნახევარი, და თუ ამათ მიუმატებთ იმ მესაკუთრეთა რიცხვს, რომელთაც საშუალო ზომაზე მეტი მამული აქვთ, იმ შემთხვევაში გამოვა 75% საფრანგეთის მთელი მიწა-ადგილისა უქირავს 849,789 მესაკუთრეს; დანარჩენი 25% დაყოფილია თითქმის 5 მილიონ წვრილ მესაკუთრეთა შორის; იმათ რიცხვში 2.235,405 მესაკუთრეს 1892 წ. ჰქონდა სულ 1.327,253 ჰექტარი მიწა, ე. ი. თითოეულს რაღაც ნახევარ ჰექტარამდე! აი ის სასურველი ფორმა მიწათმფლობელობისა, რომელსაც ბ. ჯორჯაძე საუკეთესოთ აღიარებს და რომელსაც წვრილი მიწათმფლობელის გამარჯვებას უწოდებს! ჩვენ შემდეგ დავინახავთ, თუ რა კეთილდღეობაში ატარებენ დროს ეს ჩვენი ავტორის მიერ მოწონებული «მესაკუთრენი», ან და რა პირობები იწვევს იმათ არსებობას. ჩვენ გვაკვირვებს მხოლოდ ის გარემოება, თუ რომელი სტატისტიკის ძალით ამბობს ბ. ჯორჯაძე, რომ „საფრანგეთში დიდ მემამულეებს უქირავთ მხოლოდ ერთი მესამედი მთელი შემუშავებული ტერიტორიისა. გლეხებს სულში კი ამ ტერიტორიის სამი მესამედი ადისო“ («ცნ. ფურ.» № 1583). ალბათ ეს ისეთივე «გლეხებია», რომლებიც ჩვენმა ავტორმა, ბროდრიკის წყალობით, ინგლისში აღმოაჩინა! ახლა ვნახოთ, რა ცნობებს იძლევა ბ. ჯორჯაძე გერმანიის შესახებ.

„1895 წლის აღწერიდან—ამბობს ავტორი—ჩანს, რომ გერმანიაში გლეხკაცის მიწათმფლობელობამ 1882 წლიდან 17% მოიმატა. პრუსიაში გლეხობას უქირავს 22.875,000 ჰექტარი 32.591,000-დან, ე. ი.  $\frac{3}{4}$ “ (იქვე). საიდან არის ამოღებული ეს ცნობები, ავტორი არ ამბობს. ალბათ ერთი ბროდრიკი აქაც გამოუჩნდა მას სადმეიდან. ნამდვილათ კი გერმანიაში 1895 წელს<sup>3)</sup> 5.558,317 სამიწათმომქმედო წარმოება იყო; იმათ რიცხვში იყო:

- 2 ჰექტარზე ნაკლები 3.236,397, ანუ 58,22%
- 2—5 ჰექტარამდე 1.016,318, » 18,29%

ერთიც და მეორეც 4.251,685, ანუ 76,51%

ამნაირათ გერმანიაში 1895 წელს 5.558,317 მესაკუთრედან 3.236,397 ანუ 58,22% იყო ისეთი მესაკუთრენი, რომელთაც 2 ჰექტარზე ნაკლები მამული ჰქონდა, ე. ი. ნახევარზე მეტი მხოლოდ სახელს ატარებდა მესაკუთრისას, ნამდვილათ კი ისინი ცხოვრობდნენ სხვაგვარი

<sup>3)</sup> Kautsky, გვ. 195.





შემოსავლით. საინტერესოა ის გარემოება, რომ მაშინ, როცა სხვა ხელობაში გარეშე თავის ხელობისა მუშაობა შედარებით კლებულობს, მიწათმფლობელობაში გარეშე შემოსავლით ცხოვრება მატულობს. ამის დასამტკიცებელ საბუთს წარმოგიდგენს გერმანიის სტატისტიკა.

თავის ხელობის გარეშე	1882	1895
მუშაობა	%	%
მიწათმოქმედებაში	8,15	12,66
მრეწველობაში	26,47	18,02
ვაჭრობაში	25,34	16,43
მოსამსახურებში	14,08	7,24
სახელმწიფო სამსახურში	13,79	8,08

იმის შესანიშნავ მაგალითს, თუ რა ხარისხამდე მიდის მამულის დაქუცმაცება, წერილ-წერილ ნაქრებათ ქცევა, როცა მიწათმოქმედების გარეშე შემოსავლით ცხოვრება გადავიღებულა, წარმოადგენს ბელგია, რასაც ნათლათ ვხედავთ შემდეგი ცხრილიდან <sup>4)</sup>.

წარმოება (XO- зйство)	1846	1866	1880
	%	%	%
2 ჰექტარამდე	66,9	71,1	78,0
2—5	14,6	15,1	12,1
5—20	12,1	11,1	8,2
20—50	2,6	2,0	1,3
50 ზევით	0,8	0,7	0,4

ამნაირათ ბელგია წარმოგიდგენს ერთათ ერთ მაგალითს, სადაც წერილ მეურნეთა რიცხვი თანდათან მატულობს და იმავე დროს შესამჩნევათ კლებულობს შუათანა და სხვილ მეურნეთა რიცხვი. მაგრამ ამასთანავე ნუ დაივიწყებთ, რომ იზრდება ისეთი მეურნეთა რიცხვი, რომელნიც 2 ჰექტარზე ნაკლებ მამულს აქუშავენ, ე. ი. იმათი რიცხვი, რომლებიც მეურნეობის გარეშე შემოსავლით ირჩენენ თავს. ასეთი ფორმა მეურნეობისა რომ არაფერს საიმედოს არ წარმოადგენს, ეს იძულებული იყო ეცნო თვით გერტს, რომელიც მეურნეობაში სხვილ წარმოების წინააღმდეგია. იგი ამბობს: „რასაკვირველია, ვერ უარყვით, რომ პარცელიარული, წერილი, მეურნეობა თხოულობს დიდ ენერჯიას და უმეტეს შემთხვევაში შრომის გამოყენებისთვის უიმედოა უნდა ჩაითვალოსო“ <sup>5)</sup>. ერთი სიტყვით, ამ ცნობებიდან ჩანს, რომ ბელგია წერილი მეურნეობის ქვეყანაა, მაგრამ ყველასათვის აშკარაა, რომ წერილი მეურნეობა წერილ მესაკუთრეობას სრულებით არ ნიშნავს, რის მაგალითს წარმოგიდგენს ირლანდია. იქ 740 მესაკუთრეს უჭირავს მთელი შემუშავებული მიწის 46%<sup>6)</sup>. ასეა ბელგიაშიაც, სადაც მესაკუთრეთ ხელშია მხოლოდ 36% მთელი შემუშავებული ტერიტორიისა, დანარჩენი 64% უჭირავთ მოიჯარადრებს. განსაკუთრებით იაქმის ეს ფლანდრიაზე; იქ მოიპოვება ისეთი სოფლები, რომელთაც ერთი ნამცეცი მიწა არა აქვთ თავის საკუთარი, არამედ იჯარით იღებენ დიდ მემამულეთაგან, როგორც ინგლისში <sup>6)</sup>.

მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება აქ ჩვენ იმ გარემოებას უნდა მივაქციოთ, თუ ეს წერილი მეურნენი რანაირ აუტანელ შრომას ეწევიან, რომ ერთ და იმავე

დროს თავის ერთნამცეცი მამულიც ამუშაონ და გარეთაც იშრომონ ოჯახის შესანახათ. ისინი არ ზოგვენ არც თავის თავს, არც მცირე წლოვან ბავშვებს, არც ცოლებს და არც მოხუცებულ დედამას, მაგრამ არაფერი კი არ შევლით, მაინც მუდამ გაქვრებული არიან, არა აქვთ არც რიგიანი სახლ-კარი, არც ნოყიერი საქმელი და არც თბილი ტანსაცმელი <sup>7)</sup>. აი მიწათმფლობელობის ასეთ ფორმას შენატრის ბ. ჯორჯადე! იგი თავის იდეალათ სახავს გაქირვებულ წვრილ მეურნეს, რომელიც დღიან-ღამიანა მუშაობს თავისი ცოლშვილითურთ და მთელი ოჯახით, მაგრამ მიუხედავთ ამისა მაინც მუდამ ნახევრათ მშვიდმწყურვალა. ნურას უკაცრავათ, თუ ჩვენ ვერ გავიხდით იდეალათ ასეთ მეურნეს. ჩვენ იმას კი არ ვამტკიცებთ, რომ უთუოთ დიდ კაპიტალისტურ მეურნეობაში იყოს ხსნა. არა. ჩვენ იმას ვამბობთ მხოლოდ, რომ თანამედროვე მეურნეობის პირობებში ძირითადი ცვლილება მოხდა, რომ კაპიტალის დაბანდვამ სრულიად შეცვალა წარმოების პირობები; გაუმჯობესებულ იარაღების შემოღებამ მეურნეობაში აქაც პირიპირს წაუყენა წვრილი და სხვილი მეურნე და უმეტეს შემთხვევაში გამარჯვება უკანასკნელს რჩება. მაგრამ აქ მოქმედებენ კიდევ სხვა ფაქტორები, რომლების წყალობით წვრილი, გატიღნილი, მეურნე ხშირათ უძლებს სხვილ მწარმოებელის მეტოქეობას. მაგრამ თქვენ ნუ გაგიკვირდებათ, თუ უმეტეს შემთხვევაში, ეს ძვალტყავათ გამხდარა, წვრილი მესაკუთრე და წვრილი მეურნე სხვილი მეურნეობისთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, რადგანაც უიმისოთ უკანასკნელი მოკლებული დარჩებოდა მუშა ხელს. აქედან აღვილი გასაგებია, თუ კაპიტალისტი-მეურნენი რათ ცდილობენ, რომ წვრილი მესაკუთრენი სოფელს არ მოშორდენ, და აგრეთვე თითონ რათ ღებულობენ ზომებს იმათი რიცხვის გამრავლებისთვის. თუ ასეთი ზომების წინააღმდეგ ჩვენ პროტესტი განვაცხადებთ, ბ. ჯორჯადე მოგვაძახებს თქვენ სოფლის დაცლიერებას და 1<sup>1</sup>/<sub>2</sub> მილიონი ხალხის გალატაკებას და იმათ ქალაქში გადასახლებას ქადაგებთო. რა უნდა ვთქვათ ასეთ მსჯელობაზე!

ბ. ჯორჯადეს რომ კითხვით, «კაპიტალის» ავტორის მოძღვრება არა თუ მეურნეობაში, მრეწველობაშიაც კი არ მართლდება. მისი აზრით, რომელიც „ჯერ ახალია“, „პროლეტართა რაზმის შევსება პირდაპირ კაპიტალთა რიცხვის გამრავლებაზე დაწყარებულიო“ („ცნ. ფურ.“ № 1583). და პროლეტართა სასიხარულოთ ბ. ჯორჯადე მართლაც ამტკიცებს კაპიტალისტების გამრავლებას! მაგრამ აქ საინტერესოა ვალაპარაკოთ თვით ავტორი. „იმის დასამტკიცებლათო—ამბობს იგი,—რომ კაპიტალისტთა რიცხვი მცირდება, ხშირათ მოყავთ ის მოსაზრება, რომ თანამედროვე ეკონომიურ ცხოვრებაში ღრმა ფესვი გაიკეთეს აქციონერთა საზოგადოებათ—ტრესტი, კარტელი და სხვ. ამ საზოგადოებათ რომ დააკვირდეთ, დაინახეთ სწორეთ იმას, რასაც ჩვენ (ე. ი. არ. ჯორჯადე) ვამტკიცებთ. ინგლისის ძაფის ტრესტში 12,300 აქციონერია; ქალაქის ტრესტში 5454 აქციონ. მანჩესტერის საზღვაო არხის აქციონერთა რიცხვი 40,000... სპირის და ჰონდის საწყობს აქვს 26.000,000 მარკა თანხა, რომელიც ეკუთ-

<sup>4)</sup> Ibid., გვ. 196.

<sup>5)</sup> Герцъ. Agr. воп., გვ. 219.

<sup>6)</sup> ეს ცნობები ამოღებულია ი. ანდრევის წერილიდან „Agrarный вопросъ въ Бельгiи“, Ж-нь 1899 წ. № VI.

<sup>7)</sup> ეს შევნიშნავთ აქვს აწერილი კუტსკის (გვ. 122—6); გერტცი ბევრს ეცადა, მაგრამ ვერ უარყო კუტსკის მიერ წარმოდგენილი ფაქტები.



ვნის 4,650 აქციონერს; მათში მხოლოდ 550 კაცს აქვს კაპიტალი, რომელიც აღემატება 10,000 მარკას». ბოლშის ვინდი ამდენი ამოწერისთვის, მაგრამ სხვაფერ მოქცევა არ შეგვეძლო. როგორც ხედავთ, ბ. ჯორჯაძეს აქციონერთა საზოგადოება და ტრესტი და კარტელი ერთი და იგივე განება. მართალია, აქციონერთა საზოგადოებანი შეადგენდნენ იმ პირველ საფეხურს ანუ სკოლას, რომელიც გამოიარეს ტრესტებმა და კარტელებმა, სანამ ისინი მოველინებოდნენ ქვეყნიერებას თავისი დღევანდელი ორგანიზაციით, მაგრამ ისინი მაინც სულ სხვადასხვა დაწესებულებაა. აქციონერთა საზოგადოების მიზანს შეადგენს თვით წარმოების მოწყობა, ტრესტების და კარტელების მიზანი კი მდგომარეობს შემდეგში: ფასების დაწესებაში, წარმოების მოწესრიგებაში და საქონლის გასასაღებელი ადგილების, ე. ი. ბაზრების, დაყოფაში<sup>8)</sup>. ეს განსხვავება იმას არ უშლის, რომ როგორც აქციონერთა საზოგადოებანი, ისე ტრესტები და კარტელები, უარყოფენ წვრილ წარმოებას, განცალკევებულ მწარმოებელს. ორივე შემთხვევაში ცხადია, რომ თანამედროვე მრეწველობაში მხოლოდ დიდ წარმოებას აქვს დარჩენილი ბუთი და მოედანი. ამაში მხოლოდ ბ. ჯორჯაძეს შეუძლია შეიტანოს ეჭვი. ჩვენი ავტორის გულუბრყვილობა ყველაზე უფრო იქიდანა ჩანს, რომ მას აქციონერთა საზოგადოებათა ყველა მონაწილე კაპიტალისტი განება! ბ. ჯორჯაძის ლოლიკით რომ ვინებმდებოდნენ, გამოვა, რომ ვინც ორიოდ გროშს იზოგებს და ბანკში შეაქვს, ყველა ბანკირი იქნება! არა, ბ. ჯორჯაძე, ასეთი მეცნიერული საგლით თქვენ შორს ვერ წახვალთ. «რათა თანამედროვე ეკონომიური ცხოვრების ხასიათი დაუმახინჯებელი გამოგინდეთ თქვენ თვალში», საქროა აღიქურვით უფრო მეტი მომზადებით და უფრო მეტი დაკვირვებით, ვინემ თქვენ დღეს ბრძანდებით აღიქურვილი.

მოსაუბრე.

სხვა-და-სხვა ამბები.

30 სექტემბერს გაიხსნა კავკასიის ექიმთა მეორე კრება, რომელსაც დაესწრო 150-მდე ექიმი.

პირველ დღეს, შემდეგ კრების და კომიტეტის თავმჯდომარეთა სიტყვებისა, რომელთაც დაახასიათეს საზოგადოთ საექიმო დახმარების საქმის მდგომარეობა კავკასიაში და ანუსხეს კრების პროგრამა, ბ. სხაროვემა წაიკითხა მეტათ საყურადღებო მოხსენება მალიარის (ცივეების) სენის ბუნების შესახებ. ავტორი მომხრეა მალიარის ახალი თეორიისა, რომელსაც მოსკიტების თეორია ქვია. საზოგადოთ პირველ ორი დღე ამ სენის შესახებ მოხსენებებს დაეთმო და კრებამ შემდეგი დადგენილება მიიღო: ეთხოვოს სათანადო მთავრობას, რათა დანიშნოს საგანგებო კომისია მალიარის ავადმყოფობათა სამეცნიერო გამოკვლევისათვის და ეგრეთ წოდებულ „მოსკიტების თეორიის“ გამორკვევისათვის. კავკასიის ადმინისტრაციამ უნდა დაავალოს თავის ექიმებს, გამოგზავნონ თფილისში დაავადყოფებულ სისხლის პრეპარატები გამოკვლევისათვის. კრებამ მიიღო აგრეთვე მეტათ საყურადღებო დადგენილება პროსტიტუციასთან ბრძო-

ლის შესახებ. დაარსდეს განსაკუთრებული კომიტეტი პროსტიტუციის თვალ-ყურის სადგენებლათ და გალაყენეს საქმე ქალაქის თვით-მართველობას.

4 ოქტომბერს კრებამ მოისმინა ქუთაისის ექიმთა საზოგადოების წარმომადგენლის ბ-ნ დ. ნაზაროვის მოხსენება ამიერ-კავკასიაში ერობის შემოღების საქიროების შესახებ და ერთხმათ დაადგინა იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე ჩვენში საერობო დაწესებულებათა შემოღების შესახებ, რადგან ეს ერთათ-ერთი გზაა, რომლით შეიძლება ხალხის ჯანმრთელობის საქმის რიგიანათ დაყენება.

დანარჩენ მოხსენებებზე და საზოგადოთ კრების და მის დადგენილებათა მნიშვნელობაზე დაწერილებით გვექნება ბაასი შემდეგ №-ში.

2 ოქტომბერს, თფილისის ქალაქის გამგეობის სხდომაზე, ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელმა შესტაკოვმა წარადგინა კავკასიის მთავარ-მართებლის მოწერილობის პირი, თფილისის გუბერნატორის მოწერილობასთან ერთათ ქალაქის ახალ ხმოსნების ახლო მომავალში არჩევანის შესახებ სამ საარჩევნო კრებაზე. გამგეობამ განიხილა ეს წინადადება და გადაწყვიტა: შეატყობინოს ქალაქის ყველა უძრავ ქონების პატრონებს, რომელთაც სურთ მიიღონ მონაწილეობა ხმოსნების არჩევანში, დროზე შემოიტანონ მათზე დარჩენილი სხვადასხვა საქალაქო გარდასახადი; აგრეთვე მიწეროს ყველა იმ მემაულებებს, რომელთაც ქალაქის რამდენსავე ნაწილში აქვთ უძრავი ქონება, აცნობონ ქალაქის გამგეობას თუ რომელ საარჩევნო ნაწილში სურთ ჩაეწერონ; საარჩევნო სიების შედგენას ეხლავ შეუდგენ; საარჩევნო საქმეების გაკეთება დაევალოს ქალაქის გამგეობის პირველ განყოფილებას და ეთხოვოს ქალაქის მდივანს, ბ-ნს ჭრელაშვილს, დახმარება გაუწიოს ამ განყოფილებას. ქალაქის გამგეობა ამ ზემოთ აღნიშნულ გადაწყვეტილებას დასამტკიცებლათ წარუდგენს თფილისის ქალაქის საბჭოს.

შინშგან საქმეთა სამინისტრო ადგენს ამ ჟამათ განსაკუთრებულ «სამუშაო წიგნაკებს», რომლებშიაც დაბეჭდილი იქნება კანონები და წესები მრეწველთა და მუშათა ურთიერთობის შესახებ. ამ წიგნაკების მიზანია მუშათა ნიეთიერი ინტერესების დაცვა და უწესრიგოთ ჯამაგირების მიღების თავიდან აცილება.

30 სექტემბერს, განსვენებულის ქართველიშვილის დასაფლავების დროს, დამსწრეთა შორის 120 მან. ფული იქმნა შეკრებილი, რომ განსვენებულის ივანე კერესელიძის საფლავს, რომელიც ამ ჟამათ სრულიად უპატრონოთ არის დატოვებული, ძველი დაადგან და რკინის მოაჯირი შემოავლონ. დღეს, 7 ოქტომბერს, ამ საქმის გამო კრებაა დანიშნული.

ორშაბათს, 1 ოქტომბერს, სამეურნეო საზოგადოების სადგომში გაიხსნა მერძვეეთა და საქონლის მომწეებელთა კრება ბ-ნ ქალანთარის თავმჯდომარეობით; კრებას ერთი კვირის განმავლობაში ჰქონდა რამდენიმე სხდომა, რომლებზედაც წაკითხულ იქმნა მრავალი მოხსენებანი. სხვათა შორის ბ-ნ ბლაჟინმა წაიკითხა მოხსენება

<sup>8)</sup> ბრუნო შენლაჟი. „Промысловые синдикаты“, გვ. 22.





ყველის კეთების შესახებ და აღნიშნა რა ის გარემოება, რომ კავკასიის ყველმა განდევნოს რუსეთის ბაზრიდან შვეიცარიული ყველი, საქაროა დაარსდეს ყველის გაკეთების საცდელი ქარხანა, სადაც მიიღებოდნენ ხოლმე ყველა ისინი, ვისაც ყველის კეთება სურს შეისწავლოსო. კრებამ მიიღო ეს წინადადება. საინტერესო მოხსენება წარუდგინა აგრეთვე კრებას ქალანთარმა იმის შესახებ, თუ როგორ გაეხსნას ბაზარი კავკასიის მერძვეთა ნაწარმობით. მ. ოქტომბრის სხდომაზე განხილულ იქნა ბ-ნ ლანგის მოხსენება იმის შესახებ, თუ ევროპაში და რუსეთში როგორ არის დაყენებული საქონლის ტუბერკულოზის გამოკვლევისა და მისი წამლობის საქმე. მოვიხსენოთ აქ ისიც, რომ თფილისის ქიმიურ ლაბორატორიის გამგემ ბ. გ. ალიბეგოვა წარუდგინა მერძვეთა კრებას წინადადება თფილისში მერძვეთა კავშირის დაარსების შესახებ ისე, როგორც ეს ევროპის ქალაქებში არსებობს. კავშირის მიზანი იქნება რძის პირდაპირ მომხმარებელზე გაყიდვა, რაც სასარგებლო იქნება როგორც გამყიდველისათვის, ისე მყიდველებისათვისაც.

„პრაეტი. ვესტნიკ.“-ში დაბეჭდილია სამხედრო მინისტრის შემდეგი ბრძანება:

„ამ წლის 19 აპრილს ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და დაამტკიცა თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის მიერ დაწესებული ოთხი სტიპენდია თფილისისა და დონის კადეტთა კორპუსებში იმ ჯარების ოფიცერთა და ყაზახთა შვილებისათვის, რომელნიც საქართველოში იმყოფებოდნენ საქართველოს რუსეთთან შეერთების დროს.

მოგვყავს ზოგიერთი მუხლი ამ წესდებისა: სტიპენდიები არსდება მხედრობის შემდეგ ნაწილებისათვის: 1) ერევნის ლეიბ-გვინადერთა მე-13 პოლკისა, 2) ყაბარდის მე-80 ქვეითა პოლკისა, 3) მე-20 საარტილერიო ბრიგადისა და 4) დონის ყაზახთა ჯარისათვის (მუხ. 1); სტიპენდიების შესადგენათ თფილისის გუბ. თავად-აზნაურობამ ყოველი წლის დამდეგს უნდა შეიტანოს ხაზინაში 1800 მან. იმ სახლის შემოსავლიდან, რომელიც თფილ. გუბ. თავად-აზნაურობას აქვს თფილისში (მ. მ. მე-3 და მე-5).

მიწათმოქმედების მინისტრის რწმუნებულის მინდობილებით აგრონომებმა ტიმოფეევმა და როლოვმა შეიმუშავეს სიმინდის ქვის წინააღმდეგი დონისძიებიანი. ამათ შეადგინეს განსაკუთრებული სახელმძღვანელო, რომელიც ცალკე წიგნათ გამოვა რუსულათ და ქართულათ. ეს წიგნაკები უფასოთ დაურიგდებათ ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთ.

ბაქოს გუბერნატორი 17 სექტემბრის დეკრეტით ატყობინებს ასტრახანის გუბერნატორს, რომ ასტრახანიდან ბევრი მუშა მიდის ბაქოში, და რადგან სამუშაოს ვერ შოულობენ, დიდ გაჭირვებაში ვარდებიან. ამიტომ ბაქოს გუბერნატორი თხოვს ასტრახანისას გამოუცხადოს მუშებს ტყუილია ნუ მოდიან ბაქოში, რადგან აღმინისტრაცია უკან დააბრუნებსო.

სენატის განმარტებით, საქალაქო დებულება არ

უკრძალავს ქალაქის გამგეობაში მოსამსახურეთ აიღონ იჯარით ქალაქის მამულები და საზოგადოთ საიჯარო პირობით შეეკრან ქალაქს.

საერო განათლების სამინისტრო ირკვევს საკითხს უნივერსიტეტებში თავისუფალ მსმენელთა მიღების შესახებ.

განზრახვა აქვთ სამეგრელოში და სოხუმის ოლქში მოაწყონ კიდევ ათი ჩაის კულტურის საცდელი მინდორი.

რედაქციამ მიიღო შემდეგი გამოცემანი:

1) И. Тоселіани. „Обзоръ дѣятельности Импер. Кав. Об. сельск. хозяйства“. თფილისი, 1901 წ.

2) М. С. Бетановъ. „О Кавказскомъ горномъ ониксѣ“. თფილ. 1901 წ. ფასი 30 კაპ.

**კავკასიის სამეურნეო საზოგადოების 50 წლის იუბილეი.**

წარსულ კვირას კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ იღღესასწაულა თავის არსებობის 50 წლის შესრულება. საღამოს 7 1/2 საათზე გაიხსნა საღღესასწაულო სხდომა, რომელზედაც მოწვეული იყვნენ საზოგადოების წევრნი და სხვა საპატიო პირნი. სხდომის გახსნისთანავე თავმჯდომარემ, ბ-ნმა სულთან კრიმ-გირემ, მადლობა გადაუხადა მოწვეულ პირთ და ამასთანავე აცნობა კრებას, რომ საზოგადოების პრეზიდენტს თავ. გ. ს. გოლიცინს საწყენათ მიანიჩა, რომ პირადათ ვერ დაესწრო საზოგადოების ღღესასწაულს. შემდეგ დაიწყო მილოცვის ტელეგრამების და ბარათების კითხვა, რომლებიც მოუვიდა საზოგადოების საბჭოს სხვა-და-სხვა ოფიციალურ დაწესებულებათა თუ კვრძო პირთგან. აღრცების წაკითხვის შემდეგ საზოგადოების მდივანმა, ბ-ნმა იოსელიანმა, წაიკითხა შესავალი იმ შრომისა, რომელიც მას შეუდგენია ამ შემთხვევისთვის და რომელშიაც მოთხრობილია საზოგადოების დაარსების და მისი მოღვაწეობის ამბავი. შემდეგ ამისა ბ-მა ქალანთარმა წარმოთქვა სიტყვა, რომელშიაც მან მოინდომა საზოგადოების ღვაწლი აღენიშნა, მაგრამ სამწუხაროთ ეს მხოლოთ სურვილათ დარჩა, რადგანაც ორატორი საგანს გვერდს უვლიდა და მის მსმენელთ მხოლოთ შემდეგი სიტყვები ესმოდათ: საზოგადოების დაარსებამდის კავკასიაში არ იყო არც წესი, არც მეურნეობა და არც არაფერი. შემდეგ ყოველივე ეს გაჩნდა, მაგრამ როგორ, რა გზით ან რა საშუალებით, ამის შესახებ ორატორს არაფერი არ უთქვამს. გაიგონებდით მხოლოთ, რომ ადგილობრივი მეურნეობის ნაწარმოებნი, როგორც, მეგ., ყველი, მატყლი, თამბაქო მსოფლიო ბაზარზე გააქვთო. მაგრამ რა შუაში იყო აქ საზოგადოება, ეს მაყურებელთათვის ამოცანათ დარჩა. სულ სხვა ნაირათ მოიქცა ბ. ვ. ა. სტაროსელსკი. თავის საინტერესო და საუფუძლიან სიტყვაში მან აღნიშნა ის გარემოება, რომ საზოგადოებას, მიუხედავათ მრავალგვარი მეცადინეობისა და შრომისა, ჯერ თითქმის არაფერი არ გაუკეთებია, რომ გასული ნახევარი საუკუნის მისი მოქმედება მხოლოთ შესავალია იმ სასარგებლო მოღვაწეობისა, რომელიც მას მომავალში მოელისო. ბ. სტაროსელსკიმ განსაკუთრებით ილაპარაკა მეღვინეობის და მევენა-



ხეობის მდგომარეობაზე ჩვენში. ორატორის სიტყვით, მევენახეობას და მეღვინეობას ჩვენში ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში დიდი გაუმჯობესობა არ დატყობია. უნდა შევნიშნოთ, რომ აქ მხედველობაში ორატორს ჩვენი გლეხკაცობის უმრავლესობა ყავდა, რადგანაც, მისივე სიტყვით, როგორც საზოგადოთ მეურნეობის ყველა დარგში, ისე მევენახეობა-მეღვინეობაშიაც ფეხს იკიდებს მსხვილი წარმოება და მასთან ერთად წარმოების გაუმჯობესებული სისტემაო. დასასრულ ორატორმა იმედით განაცხადა, რომ საერთოთ მევენახეობას და მეღვინეობას ჩვენში დიდი მომავალი ექნებაო.—საზოგადოთ ჩვენ უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ფრიად სასარგებლო დაწესებულებების—სამეურნეო საზოგადოების 50 წლის დღესასწაულმა რაღაც მკრთალათ ჩაიარა; იმ ორობრივად და ხმაურობაში, რომლის მოწამე ჩვენ ვიყავით ამ უკანასკნელ დღეებში, სამეურნეო საზოგადოების დღესასწაული როგორღაც შეუმჩნეველი დარჩა. რას მივაწეროთ ეს? ნუ თუ იმას, რომ ჩვენ სამეურნეო ქვეყანაში სამეურნეო საზოგადოების მოღვაწეობა უნდა იყოს და უსარგებლო იყო? ან შესაძლებელია ეს იმით აიხსნება, რომ ჩვენი მეურნენი და ადგილობრივი საზოგადოება გულგრილათ უტყვირან სამეურნეო საზოგადოების მოღვაწეობას? ჩვენ ხელში გვაქვს «სამეურნეო საზოგადოების 50 წლის მოღვაწეობის მიმოხილვა», ბ-ნ ე. ო. იოსელიანის მიერ შედგენილი. ვერც იქ ამოვიკითხეთ ამის შესახებ რამე.

**კორესპონდენციები.**

**პუთაისი.** აჭარა ოლქის სასამართლოში ეს სსამი დღეა 24—26—თფილისის პალატის სასამართლოს სესიასში ირხეოდა საქმე შოტაშის და ჭიათურის პრემისლებს ბოქაულებს: ბ. ფიცხალაურისა და ნ. ანდუილის. პირველს ბრალდებოდა მოძიების ტემა, რაც მას დაუმიტოვდა და მიესაჯა ოთხი თვით ნაობასში დაზარალება; სოლო მეორეს ბრალდებოდა „სტრანჟიკების“ და ღამის უარულის ფულების, ჯამაგირების (1660 მან.) შეკმა და ამ საქციელას დასამალავათ „ზადლოების“, უაღბი კვიტანციებისა და ქალაქების შედგენა, რაც აღმოჩნდა მის საკანცელარიო საქმეებში. როგორც ქალაქებიდან ჩანს და მოწმეებმაც დაამტკიცეს, შტატიოთ მას უნდა ყოფილია ჭიათურაში ათი «სტრანჟიკი» და, როგორც კანცელარიის „კედომოსტებიდან“ ჩანს, იგი ვითომ ათ «სტრანჟიკს» ურიგებდა ჯამაგირებს 20—25 მან. თვეში. ნამდვილათ ვი მას სან 8, სან 6 და სან 4 ყოფილა, დახარჩუნების მაგიერობას ვი, როგორც მათ მიერ სელმოწერილ ქალაქებიდან აღმოჩნდა, მისი მწერალი, მწარეული, ლაქია და გასაგზავნ-გამოსაგანი («რასილნოი») ასრულებდა (!) და ვითომდა ისინი იღებდენ ჯამაგირებს. როცა მათ კითხეს: თქვენ სელმოწერილს იცნობთო, ან როგორ ასრულებდით ორთავე სამსახურსო, ზოგმა უარი განაცხადა და ზოგმაც იცნო თავისთი სელმოწერილი „კედომოსტებში“ და თქვა, ჩვენ სამსახურთან „სტრანჟიკობას“ და ღამის უარულობასაც ვასრულებდითო. ერთი ისეთი ასირებული მოწმე («სტრანჟიკი») აღმოჩნდა, რომელიც 1897 წელს ენკენისთვეში პოლკში სალდათათ ყოფილა და იმავე თვეში ჭიათურის ბოქაულისაგან «სტრანჟიკის» ჯამაგირს ღებულობს და სელს აწერს წიგნში. ზოგიც ავთიყოფა და ან ისე დაუნებობა თავი სამსახურისათვის, წიგნებიდან ვი ჩანს, რომ იგინი ჭიათურაში სამსახურში არიან და ჯამაგირს იღებენ.

ამგვარი საქციელი, თქვა ბრალდებულ-პრემისლებს იმ დროს, როცა კავკასიაში გაძლიერებულია «სტრანჟიკების» შტატი, რომლებსაც ხალხის ნაამაგარი ორ მილიონ ნახევარი მანათი ისარგებეს, სასტიკათ უნდა დაისჯოსო. დამნაშავემ თავის განამართლებულ გრძელ სიტყვაში სსხათა შორის ისიც თქვა, რომ იგი დიდათ დამსახურებული ვარცა: პოლკში ყოფნის დროს ექვსამდე სისხლის და სხვა ჯვარ-მენდლები მიუღია, რომელნიც მას გულ-მკერდს უშეენებენ და განზრახს ამ გვარ საქციელს არ ჩაიდენდეს; მეორეც, მას იმდენი ამაგი მიუძღვის ჭიათურის ანუელ-დარეულ ცხოვრების მოწესრიგებაში, გაშენიერებაში, რომ ჭიათურლები მას თვისი ამაგის მათედსაც არ აძლევენ და მადლობის მაგიერ ასეთ სიფათში გააბეს. ერთი სიტყვით, იგი განსდარა მსსკვრული საზოგადოებრივ შეუენებლობისა და შერჩანობისა. დამნაშავეს იცავდა თფილისელი კეჭილი ბ. შუკალი.

პალატამ ანდუილი დამნაშავეთ იცნო და მიესაჯა: ყოველივე ღირსების ანდა და ორ წელიწად ნახევარს საარესტანტო სატუსალოში დაზარალება. ამბობენ დამნაშავე საქმეს სესატიში გადაიტანს.

\* \* \*

ჭუთაისის ქუჩებში საშინელ ტალახებსა და აუტანელ ტერორანობას კერც ლალუას გადაუენებამ უშეელა. დღეს თუ გეგუთის და მის მიყოლ-მოყოლა ქუჩებში «ვირები არ ისნობა ტალახში»,—ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქუჩების საქმე ჭუთაისში მოწესრიგებულია, შვენიერ მდგომარეობაშია. ამ მსრით ჭუთაისის ბეგრი და მღიერ ბეგრი აკლავს. ჭუთაისში საშინელი ტერორანობის მოსზობას თუ მიღის წყლებს გამოყვანამდე შეუძლებელია და მანამდე თვალ-პირი ღვთის ანაბრათ უნდა გეჭონოს, სამაგიეროთ ქუჩების დაქცივის და ტალახანობის წამალი ყოველთვის სელში გვაქვს, თუ ვი ვისიც ვუწარს უყრადღების დირსი განდება, გარდა თფილის-პუშკინის და ბუღჯანის გარშემო ქუჩებისა, განაზირა ქუჩების ბედ-იღბადიც.

შეგით ნათქვამი რომ ცალკე სიტყვით არ ჩამოგვართვან, ამ სელათ მივათითებთ არც იმდენათ განავადე ქუჩებსე: ლავაშოვის, პოლიციის, გორსე მიმავალი—გაბრიელის ქუჩა, ბალახანის ქუჩის ბოლო, სადაც გაუგალი ტბა-ღელეები დგება, სონისკენ მიმავალი ორპირის ქუჩა და სს., რომლებსე-დაც წვიმიან-ტალახან დღეებში ქვეითათ გავლას ან სელ არ შეიძლება, ან სრულიად უწდა ამოსავარ-ამოწკუმზლო, ან ვიდე შამო-უარო და სსვა შორეული ქუჩით მისვიდე დანიშნულ ადგილას. ზოგიერთი ეს ქუჩები, მაგ., გაბრიელის ქუჩა ისე მოილეკა, დაოღრო-ზოღრდა და მიინგრ-მოინგრას თავის დროსე უეუარადღებობით, რომ მასე სარ-ურემს და ეტლებსაც უჭირთ ასელა. 10 წამის სავალ გზას დღეს ოფიცინი ნახევარ საათს უნდება, ან ბეგრი იმათგანი სელ კერ ადის ამ გორსე, შუა გზასე ტოვებს შიგ მჯდომს და ბრუნდება უკან. არაფერი ვიდევ, თუ ადამიანი სასეირნოთ არის წამოსული, მარა რავგარია ისეთი მდგომარეობა, როცა დაბარებული ხარ სადმე და თავის დროსე ენდა მისვიდე, ან ვიდე საჩქაროთ ექიმი მიგუვას და ეტლი შუა გზასე მიგატოვებს, რის მოწმეც ჩვენ ვიყავით 24 ამ ენკენისთვეს.

გაბრიელის ქუჩასე ქალაქმა დიდძალი თფელი დასარჯა და სელ ნ-ნ წელიწადია, რაც გააკეთა. მიუხედავათ ამისა თავის დროსე სარულების ამოუწმენდაობის გამო, ნადვრებმა ისე დასეკტა და დაქციას ეს გზა, რომ ცოტა უგლია გაუგებ-თებლობის სსვე მიიღოს, ასეთივე დღე ადგია ლავაშოვის,





ზოლიციის და სს. ქუჩებს ნარკვლების გაუწმენდაობის გამო. დღეს მათზე მიმავალ ეტლში მჯდომი მიემსგავსება ზღვაში ძლიერ აღელვების დროს გემში მჯდომ გაცს, რომელსაც გუ-მა ხან ერთ კედელს მიატყვამს, ხან მეორეს, აქნებს, როგორც აკანს. კარგია კიდევ თუ ჯანმრთელი ზისარ, მარა რა-ღა ქნას ავადმყოფმა! კიდევ კარგი, რომ ქუთათურ მეტლეუ-ბში მოდამ ფესი მოვიდა და ბუერ მათგანის ეტლებს რუზი-ნიანი სალტეები აჭოტ გოგორებს, რაც სსვილი ქვებით მო-კირწყლულ ქუჩებზე სიარულს მეტათ აადვილებს, სასიამოვნო-თ ხდის, მარა ერთი იმათ (მეეტლებას) ჩივილსაც უფროს კაცმა: ისინი მუდამ გაძახიან: ქუთათის ცუდთ მოკენჭილი სრუშინი დაძვრული ქუჩები მეტათ გვიხდენენ ეტლებზე რუზი-ნას და ზარალი გვაქვსო. მარა რა ქნან: ერთი მეორეს უინა-ზე მანს რუზიანის გაკუობას აჩვენენ, რადგან უველს გაძა-ხის: «რუზიანის თაიტონი მოძიყვანო» და ან თუ თითონ იკადრა და ეტლს დაუძასა ჯერ გოგორებს დაკვირდება: რუზი-ნიანი თუ არაო...

უოკლევი საყვედურს ოდესმე დასასრული უნდა ექნეს, მარა ის კი ვერ გაკვირვალისწინებია, როდის ველიწიბით, რომ ქუთათის მცხოვრები ქუთათის ტალახსა და მტვერზე არ საყვედურობდეს და ქუთათური გორკსზონდენტიც ამ საყვე-დურს ქვეყანას არ ატეობინებდეს?! ამბობენ ინუენერ მისა-ლოკს, რომელსაც აქ წელის მიღების გაყვანს უკისრნია, მა-რა ჯერაც კიდევ საბოლოოთ ვერ მორიგებია „ქალაქის მა-მებს“, შეუძლია გადაარჩინოს ქუთათური მტვერისაგან თვა-ლების დაკუობას. ვუსურვებთ მალე დადგომოდეს ქუთათუ-რებს ეს ციურ მანანსავით მოსალოდნელი დღე.

ისი.

**ხიღისთავი (გური). 9 სექტემბერს** მოსდა სიღისთა-ვი ადგილობრივი «კამპანიის» საზოგადო კრება, ბ. ი. რ— შვილის თავმჯდომარეობით. კრებას მოსსენდა გამგის მიერ წარმოდგენილი მარტო გასაჯლის ანგარიში. შემოსავლის ან-გარიში სად არისო, —კითხეს გამგეს რამდენიმეჯერ, გამგემ კი პასუხი არ მისცა. გამოდის, რომ გამგეს დაუსარჯავს 5000 მან. ვისი ფულია ეს? ვისგან მიიღო? გამგემ არ იცის! ბო-ლოს თავმჯდომარე აცხადებს: გამგის ანგარიში ცალმხრი-ვიო... საქმე ცუდით წავიდოდა, აქ რომ კრებას სარკვიზიო კომისია არ მიშკვლეოდა. მან წარმოადგინა სრული ანგარი-ში. ამ ანგარიშიდან ჩანდა: გამგეს საბუღალტერიო წიგნები ბუერს უყიდა, სოლო შიგ არაფერი უწერია. ჩანდა აგრეთვე ისიც, რომ დაუთრები ერთობ არეულ-ღარეული იყო. ჩანდა ისიც, რომ კომისია გამგეს 250 მან. კალათ ადებდა, რომე-ლიც გამგეს კრების წინა დღეებში უკვე გადაუხადა. რაჟი გამ-გემ სარკვიზიო კომისიის ანგარიშით 250 მანათი თავის ჯი-ბიდან გადაიხადა, —გამოჩნდა რომ აქტივი უდრის პასივს, ამ-სანაგობა არც მოკბული უოფილა და არც წაგებული. საზო-გადოება შეკვირვდა გამგეს: იყო ის თანახმა თუ არა სარკვიზიო კომისიის მოსსენების, რაზედაც მან სრული თანხმობა გან-ცხადდა, და მით აშკარათ აღიარა ის, რომ სარკვიზიო კომი-სიამ მას განრინებათ გადახადვისა 250 მ. ცოტა სხის შემ-დეგ, გამგემ განაცხადა: 250 მ. მე სადღაც უნდა აღმოვანი-ნოყო. საზოგადოებამაც ნება დართო აღმოვანიყო. კრებამ სა-რკვიზიო კომისიის მოსსენება დაამტკიცა. რიგი მიდგა არჩე-ვას. აირჩიეს ისევ ის გამგე, ისევ ის გამგეობის და სარკვი-ზიო კომისიის წევრები. გამგის შარშანდელი ჯამაგირი 200 მანათი იყო. წელს კი — 250 მ. აქედან აშკარათ ჩანს: გამგეს

საქმეები ისე, როგორც სასურველი იყო და შესაძლებელი, ვერ წაუყვანია. 200 მ. საზოგადოება აძლევს ერთი წლის სამსა-სურში და 250 მანათი კი ამავე საზოგადოებას რჩება გამგის საკუთარი ჯიბიდან. რისთვის დგება ძველი გამგე, ან რის-თვის ირჩევენ მას კრება, —უოკლევიც ეს ძნელი განსაგებია...

მოგესსენებთ, რომ სიღისთავში ბიბლიოთეკა არსებობს. ისიც მოგესსენებთ, რომ მის დღევანდელ გამგეს სასაღსო-სასლის აშენება უნდა და შიგ ბიბლიოთეკის მოთავსება. მო-გესსენებთ და გავანილი გექნებათ აგრეთვე ბ. გ. ურატაძის წერილი, რომელშიაც ნათქვამია: სიღისთავის სასაღსო სას-ლის საძირკვლები ჩაიყარა. ასლს მე უნდა მოგასსენოთ: სა-ძირკვლების ჩაყრის რა მოგასსენოთ და ბიბლიოთეკის წინა-დელი შენობის საძირკველმა კარგა ხანია, რაც თქვენი ჭიბი წაიღო. ბიბლიოთეკის შკაფი და წიგნები ერთ გაუქმებულ დუ-ქანში მოათავსეს. შემდეგ როცა ამ დუქანში სახარხო გას-სნეს, ბიბლიოთეკა ერთ შატარა ოთახში მოამწყვდიეს და დღე-საც იქ იმყოფება. ასლს კი არ ვიცით, სად გაუდიმებს მას ბე-დი. ასლს გამგე სასაღსო სასლისთვის ადგილის ძებნაშია, რადგანაც დაპირებულ ადგილზე უარი უთხრეს... თურმე იმის-თვის რომ ბიბლიოთეკა, სცაა, დაიხურებაო.

მაგრამ გამგე მინც არ შეშინდა და ერთ შევნიერ დღეს დანიშნა კრება. კრება არ შედგა, რადგანაც თემურასი ვერ ეს-წრებოდა... ის შირი, რომელიც სელს უშლიდა სახლის აშე-ნებას დღეს კი... უმისოთ კრება ვერ შედგა, თუმცა სავალოთ იყო წევრები...

არა ერთხელ თქმულა, რომ სიღისთავის ერთ აუცილე-ბულ საჭიროებას აფთექა შეადგენს. მაგრამ საქმეს არა ეშვე-ლა რა. ალბათ იმიტომ რომ ოზურგეთის, ნაგომრის და ჩო-სატურის აფთექები ასაბუთებენ სიღისთავი აფთექს არ სა-ჭიროებსო... დღეს კი არა ნაკლებ დასაბუთა ი —მა სიღის-თავში აფთექის საჭიროება და ეს საბუთები წარუდგინა გუ-ბერნატორს. ამას წინეთ მარის უფროსს პასუხი მოთხოვეს არის თუ არა საჭირო სიღისთავში აფთექაო. მოვიდა თუ არა ეს ამბავი, სიღისთავის მამასასლისმა შეკრიბა საზოგადოების ვექილები და აუწვა რაშიაც იყო საქმე: თუ სიღისთავში აფ-თექა გაიხსნება, უმჯობესია საზოგადოებამ გასსანსო. პატივი და დიდება ასეთ მამასასლისს და იმ წამსვე ტელეგრაფს გუ-ბერნატორთან: სიღისთავში თუ გაიხსნება აფთექა, საზოგა-დობრივი ინტერესები თსოულდობენ აფთექის უფლება ამავე საზოგადოებას მიეცესო. ეს შეიტყო ი —მა და გავსაყნა და-მქაშები ზოგი პასპაროზე, ზოგი ოზურგეთში, ზოგიც სად, რათა აფთექა მას დაჩხეს. მან მიიბიარა რამდენიმე ინტელი-გენტი, რომლებსაც საზოგადოებაში მის სასარგებლოთ ალა-პაჩაკებს.

- აქ საჭიროა მოვიყვანოთ რამდენიმე ორატორის აზრი:
- 1) ორატორი ვარლამ ახალონიძე: პატივ-ცემული სა-ზოგადოება!
  - თქვენ ვერ წარმოგიდგენიათ, თუ რა მასეს გიძებს მამა-სასლისი და შურალი, თქვენი სასულით თსოულდობენ აფთე-ქის გასსანს, რომელსაც 40 ათასი მანათი უნდა. ეს ფული თქვენ წელსა გავტესსთ და ამისთვის უარყავით მამასასლისს წინადადება აფთექის გასსანსე.
  - 2) ახალონ ვარლამიძე: მეტნიერების უყანასენელი სიტ-ყვა ის არის, რომ კოოპერაციები ვერ შეიძობენ. აი მაგალი-თიც: გურიის «შუამავალი» თვალ წინ გიდგათ, —თუ რა დღე-შიაო... უველს ამას განმარტება აღარ ესაჭიროება...
- ბ. პარპალესძე.



**საზილამო** (სენაკის მხარე). ეს სოფელი მდებარეობს მდ. ცხენისწყლის პირით, გუბიის საზღვართან, რომელსაც ეს მდინარე უფროს შუაზე და შედგება ორი საზოგადოებისგან: მარჯვენისა და ილორისა; აქ ითვლება სულ 200 კომლამდე მცხოვრები. ეს სოფელი ცნობილია განსაკუთრებით სიმინდის მოსავლით, ღვინო კი აქ ძლიერ ცოტა მოდის და ზოგან სულაც არა. წყალს სიმინდის მოსავლიდან, ცუდი მდინდების გამო, ნაკლები იყო.

აქ არის ორი სამინისტრო სკოლა: მარჯვენის ორკლასიანი და ილორის ერთკლასიანი. ამას გარდა არის კიდევ რამდენიმე სამრევლო სკოლა, მაგრამ ისინი სულ რომ არ იყვნენ უმჯობესი იქნებოდა. გარდა ამისა აქ არ არის არც სასოფლო ბანკი, არც ბიბლიოთეკა და არც სასახლო სამედიცინო და ამითვე არც არავინ არის იფორმირებული. სამაგიეროდ აქაური საზოგადო საჩქმების გაჭრობით გაცემს კი საუფრადდებო: ხუთი თუთხის საფასური ათ თუთხით იცემს და ათის ოცათ, ვინაიდან საზოგადოების ფული კარგი გამრეული ფოფილას და მასთან კარგი მოსახლეობელიც. სსკათა შორის წარსულ აგვისტოს თვეში გაიცა ვაჭრობით ადგილობრივი სამინისტრო სკოლის იატაკის და ბუხარის შეკეთება 120 მან., და შეკეთეს კიდევ, მაგრამ როგორც სსკა ოსტატებმა გადმოგვცეს, იმის შეკეთება ღირდა არა უმეტეს 60-70 მან. მაგრამ ამან თქვენი ჭირი წაიღოს, რაც გავუთდა ქე მანაც გასტანს რამდენსამე წელს, მაგრამ უფრო სანატორიუმს მეორე „ტორგი“; იმავე დღესვე გაიცა ვაჭრობით ორპირი-თფილისის ძველ გზატკეცილზე პატარა მდინარე ლოდობაზე ბოგირის გაკეთება, რომელსაც ეს საზოგადოება აკეთებს. ეს ბოგირიც 120 მან. გაიცა და შეკეთებულს გაკეთეს კიდევ, მაგრამ რა გაკეთეს: გააწვეეს ზედ თხილვის სის ტერები, დააკრეს თითო ლურსმანი—მორჩა და გათავდა. ამ ბოგირის გაკეთებაც არ აღემატება, სინდისის ქვეშ, 60-70 მან. მაგრამ სათქვამის: მქლოთნეს საადანსაც უნდა, იქიდან გაუკეთებს ქოთანს უფრო... ეს ხომ საზოგადოების ფულუბია და თუ საზოგადოება არ აქცევს უფრადდებს რითი რა კეთდება, სსკა ვინ რას დაქვებს!..

ლოლობისპირელი.

**რუსეთის ცხოვრება.**

ფინანსთა სამინისტროს ცნობებით მდგომარე წლის პირველ ნახევარში სახელმწიფოს შემოსავალი ფოფილას 808,3 მილიონი მანათი (48,4 მილიონით მარშანდელზე მეტი), ხოლო გასავალი 825,2 მილიონი მანათი (მარშანდელზე მეტი 98,2 მილიონით). ხეულებრივ შემოსავალში უკლებსე მეტათ უმეტესია სახელმწიფო რეზინის გზების შემოსავალს, შემდეგ სატამოენოს, შაქრის აქციზს, საზინის არებით გაჭრობას. დაუგლია შემოსავალს სასახინო ვაზიტალებიდან და გლეხებისაგან მიწის დასახსნულ გადასახადს.

== წარსულ ნომერში მოხსენებულ იკვონდა, თუ როგორი რეფორმა მოკლის პეტერბურგის ქალაქის თვითმმართველობას. სატასტო გასეთების ცნობით, პეტერბურგის თვითმმართველობის რეფორმა სამაგალითოთ იქნება მიღებული იმ ქალაქებისთვის, რომლებშიც ვერჯერობით არ არის თვითმმართველობა.

== სარკოვი გაისხნა მუშათა კურსები სარკო განათლების სამინისტროს ინიციატივით დაარსებული. მასწავლებელთა შორის რამდენიმე პრაფესორია. კურსებზე ჩაწერილს 200 მსმენელი.

== პეტერბურგის ასოთამწობთა დამსარე კასის წევრებს, რომელთა რიცხვი 800-მდეა, განხრასკა აქვთ დაარსებული თავშესაფარი ღარბ, ავთმოფთ და მოსუც ასოთამწობათვის. სარკოვი მოხაწილებს უნდა მიიღონ შესტამბეების.

== დიდი ქალაქების ერთ-ერთ თავსატეს ვითხვას პროსტიტუციის სანატარულ მხრით მოწუბობა შეადგენს. უკვლას ქალაქები შერეებიან იმ ახრს, რომ სება-ღართული პროსტიტუციას აუცილებულ ბორტებს შეადგენს და მოლოთ იმას აქცევს უფრადდებს, თუ როგორ მოაწესრიგონ საჩქე. სულ სსკა თვალთ შესება ამ საჩქეს მოსკოვის ქალაქის მმართველობაში, რომელსაც დმინატრაცია შეეკითხა, როგორ მოხაწილებას მიიღებს იგი ამ საჩქის მოწუბობით. კომისიამ და, მისი წინადადებით, ქალაქის მმართველობაში დაადგინა, რომ სრულიად საჭირო არ არის პროსტიტუციის რეგლამენტაცია; სამქმო სასლების გასხნა არ უნდა იყოს სება-ღართული არც სანატარული და არც საზოგადო სნეობის დაცვის მოხასრებით. ხოლო ვერკიულ ავთმოფთებთან საბრძოლველათ საჭიროა 1) საღსში სწავლა-განათლების გაგრელება, 2) საჩქე დასმარების ხელმისაწდომათ გასღობა. ქალაქის ყოველი ღარბისმქება უნდა მიიღოს ამ სენის გაგრელების წინააღმდეგ საბრძოლველათ და მხრთ არის ივისროს ყოველგვარი სარკოვი. გარდა ამისა საბჭომ გამოთქვა თავისი შესუდულება დმინატრაციის პროექტზე და თავისი მოსახრებისა წარუდგინა გუბრნატორს. რუსეთისთვის მეტათ საინტერესო ტღას წარმოადგენს მოსკოვის დადგენილება და ძლიერ საუფრადდებო იქნება, თუ მთავრობაც დაესმარა.

== ვიევის განათლებული ქალებიც თსოვენ უნივერსიტეტის, იშუამდგომლოს საცა ვერ არს, რომ უნივერსიტეტი შესვლის სება ქალებსაც მიეცეს, თუ ნამდვილ სტუდენტებათ არა, თავისუფალ მსმენლებათ მანც. ვიევის უნივერსიტეტის რექტორს მიუღია ქალების დებუტაცია და ურჩევია, პირდაპირ საერო განათლების მინისტრს მიმართოთ.

**ს ა ს ლ უ ა რ გ ა რ ე თ .**

**ინფლინი.** წარსულ სამშობათს ღარღარბის პოლიციის სასამართლოში იოჭანესურგის ცისის უფროსათ ნამყოფის დოქტორ ვრახეს საჩქის გაჩქევის შეუდგენ. საბრალმდებლო რქეში ნათქვამია: «როცა ვრახეს იოჭანესურგის ინგლისელებს აბარებდა, ლორდ რობერტის თსოვა: რომ ბურებს ქალაქის ქეჩებში ბრძოლა არ გამართონ და ტყუილ-უბრალოთ სისხლი არ დაიღვაროს, ამიტომ საჭიროა 24 საათის ვადით სავი შეკრათო. რობერტის დათანხმდა ამ სავს. ვრახესმ ისარებდა ამ დროთა და იოჭანესურგისან პრეტორიაში 180 ათსი გირუნქა სტრალინიც გაგზავნა და ამით ბურებს დიდი დასმარება გაუწია. ვრახეს მიწერ-მოწერს ქეჩისა გამართული ტრანსავალიზ პროკურორთან ბრქემასთან (ამას წინათ თოფით დასერტეს). ამას გარდა ვრახეს ინგლისის და უცხოეთის გასეთებში წერილებსა ბეჭდავდა და ამტვიცებდა, დიდი სახელმწიფოები უსათოო გაურევიან ბურების საჩქეშიო. ეს გასეთები სასრეთ-ავრკამიაც იგზავნებოდენ, ბურებს სასელმწიფოების შეკლის იქვას უდვიმბდენ და საბრძოლველათ აქესებდენ. გარდა ამისა ვითომ ვრახეს ბრქემასათვის ერჩიოს, ლორდ რობერტის იერის-კონსულტი დუგლას ფოსტერი მოჭკალიო; ბრალდებულს ვითომ რღაცა ვერკი სჭირდა ამ ფოსტერისაო. დასახრულ ვრახეს აბრალბენ, ბურებს ურჩევდა ინგლისელებს რომ ფიცი მიეცით, დაარღვიეთ და ყოველი გამცემელი და მოღალატე თოფით დასერტიოთ.





**სამხრეთ-აფრიკა.** უკანასკნელი დეპუტები გვაცნობენ: ბურების უფროსი ლოტონი დამნაშავეთ ცნეს და უკვე დასაჯეს კადრ სიკვდილით. ლოტონს გ. რა და სიკვდილით დასაჯა გადაწყვეტიეს კადრ სეთ ბურს, მაგრამ კიტენერმა ეს სასჯელი მათ შეუცვალა სამუდამოთ ციხეში დამწყვდეულით. სიკვდილით დასაჯა, რომელიც გადაწყვეტილი ჰქონდა ერთ ოფიცერს ბარტლემი, შეეცვალა ათი წლის საკვადებულო მუშაობათ; სოლო მეორე ოფიცერს იავობსდაღში სიკვდილით დასაჯა შეუცვალეს დავარგით; ფრებურტში ფელდ-კორნეტათ ნამყოფს მიესაჯა ათი წლით დასატიმრება; მაგრამ სასჯელი სამ წლამდე შეუმცირეს; ფრებურტის ერთ ფერმერს სიკვდილით დასაჯის ნაცვლათ სამუდამო მუშაობა მიესაჯეს; ორ ასალგაზდა ფერმერს, რომელნიც ორჯერ მიემსრენ მოწინააღმდეგეებს, მიესაჯათ ჩამოსრნობა; ვორხსტერში ერთ ფერმერს ასი გირვანქა სტერლინგი ჯარბმა ანუ ცხრა თვით დასატიმრება მიესაჯა; რადგან მას ფერმაში იმდენი სურსათი აღმოჩნდა, რომ ერთ კვირასე მკურს ხანს უყოფოდათ.

**ჩინეთი.** ის, რაც ამ უამთ სდება ჩინეთში, საბუთს გვამდევს ვთქვათ, რომ ჩინეთის პოლიტიკურ ასპარეზზე სელსასლა იწყება დრამა, რომელშიაც კვლავ იქნებიან იმელებულნი მიიღონ მონაწილეობა ევროპის სასულეშოფობმა. უკანასკნელი ცნობები გვაუწყებენ, რომ სხინინგის ოლქში ორი კვირის განმავლობაში გასადაგურეს მემბოხებმა ბოხელის მისსია. მისიონერები გარბიან აქეთ-იქით, სადაც ვი შეუძლიათ თავი შეაფარონ. ჩინეთის ჯარი ვერ უმკლავდება მემბოხებს. გას. «Echn de Chioe»-ს მოჭყვას წერილი ერთის ჩინელისა თავის მეგობართან მიწერილი; ეს ჩინელი ვარგათ განათლებული ვატი უოფილა და, რთგორც თვით ამტკიცებს, მას არა მკულს ევროპელები. დიდათ ცდებათ ევროპელები, წერს იგი, რომდესაც ფიქრობენ რომ მათ ჩინელები ისე დააშინეს, რომ ვარგასანს სელსკვლარ ვასძრავნი. იგი ამტკიცებს, რომ რამწამს ვეინიდან გავა ევროპელების ჯარი მამინათვე დაიწყება ამბოხება. ვეალსე ძირეულ ჩინელებს სძაგთ ნემეცები, რადგანაც მათმა ჯარმა ჩინეთს სსუბზე უფრო მკტი შეწესება და ზარალი მიაყენა. რაც შეეკება იმპერატორის ჩინეთში მოსვლას, ეს სომ ნამდვილი ვომედიას: ვერ იყო და იმპერატორს ვეინში ორი კვირის შეძვედ მოკლოდენ, შემდეგ ერთი თვის განმავლობაში, მერე სამი თვის განმავლობაში და მალე მგონი გამოაცხადებენ; რომ იმპერატორი აღარ ჩამოვა ვეინშია. მართალია ევროპელი სასულეშოფობი დაავაყოფილა ჩინეთის მთავრობამ, მაგრამ ის თვისი უკანასკნელი საქციელით უჩვენებს საფხს, რომ მას შესწავს ძალა, მოიქცევა თვის სურვილისამებრ და შეუძლიან გაუმკლავდეს ესრეთ წოდებულ მსოფლიო სასულეშოფობს. შეერთებულ სასულეშოფობის ჯარმა დატოვა ჩინეთი და ჩინელები. ესღა დაწმენებულნი არიან, რომ უცხოელი ქაჯები რადგანს შეუშინდენ და მიტომ გაეცადენ ჩვენს ქვეყანასა.

### შავი პურები.

ს. ფრანსისა.

შვენიერ ფლორენციაში ცხოვრობდა ვინმე ბანკირი ნიკოლა ნერლი. დილით, როდესაც ცისკრის ზარს დარგავდენ ხოლმე, ის უკვე თავის ბიუროსთან იყო გამოკიმული; საღამოთი, როდესაც დარეკდენ მწუხრისას, ის ისევ ბიუროსთან იჯდა და ასე და ამგვართ მთელ დღეს ნიკოლა ნერლი ატარებდა თვის საანგარიშო წიგნებთან.

ნიკოლა ნერლი უხვათ აძლევდა ფულს თავის ბანკიდან იმპერატორს და პაპს, რასაკვირველია, სესხათ. და თუ თვით ეშმაკსაც არ ასესხებდა ფულს, ეს მხოლოთ იმისთვის, რომ ამისთანა მოვალეს არ ენდობოდა და ეშინოდა არამც თუ სარგებლის, თავნის დაკარგვისაც. ნიკოლა ნერლი მართალია გამბედავი კაცი იყო, მაგრამ მასთანვე ექვიანი და დაუნდობელი. მან დიდძალი სიმდიდრე შეკრიბა და ბევრს გააძრო ტყავი, ამიტომ ფლორენციაში დიდ პატრესა სცემდენ ბანკირს.


იგი ცხოვრობდა შვენიერ სასახლეში, სადაც იზეს სხივს შეეძლო მხოლოთ შეეხებინა ვიწრო სარკმელნიდან. და ასეც უნდა მოქცეულიყო ნიკოლა ნერლი, ცინიდან მიღარის სახლი ყოველთვის ციხეს უნდა წარმოადგენდეს, რადგანაც მათ უნდა დაიცვან ძლით ის, რაც ეშმაკობით შეკრიბეს. ნერლის სასახლესაც გარშემო რკინის ბადე და ჯაჭვები ჰქონდა შემოვლებული. რაც შეეხება სასახლის შინაგან მორთულობას, რასაკვირველია ისიც ნერლის ჯიბის შეფერვებით იყო მოწყობილი. სახლის კედლები საფეც იყო საუცხოვო მხატვართა მიერ დახატული სურათებით. აქ თქვენ თვალს წარიტაცებდა შვენიერი ქალის სურათი—ემბლემა სათნობისა, იყო აგრეთვე სურათები პატრიარქისა, წინასწარმეტყველებისა და ებრაელთა მეფეებისა; ხოლო ძვირფას ხალიჩებზე დახატული იყო სხვა-და-სხვა სურათები ალექსანდრე დიდის და ქრისტეანეთა ცხოვრებიდან ისე, როგორც რომანებშია მოთხრობილი.

დიდ ყურადღებას აქცევდა ნერლი აგრეთვე საქველმოქმედო საქმეებსაც, რითაც დიდი სახელი გაუთქვა თავის სიმდიდრეს. მაგალ., მან ქალაქის განაპირას ააშენა საავთმყოფო, რომლის კედლები დაფენილი იყო სხვა-და-სხვა სურათებით თვით ნერლის ცხოვრებიდან. მარიამ ღვთის-მშობლის ეკლესიის ასაშენებლათ ნერლიმ დიდძალი ფული შესწირა, რისთვისაც მისი სურათი ეკიდა მგალობელთა დასის ახლოს. ამ სურათზე ის იყო დახატული გულზე ხელზე დაკრფილი და მუხლ-მოყრილი მარიამ დედოფლის ფერხთა წინ. ყველა, ვინც ვი ეკლესიაში შევიდოდა, ადვილათ შეეძლო ეცნო სურათზე ნერლის წითელი ქუდი, ძვირფასი ტყავის ქურქი და მისი ჩასუქებული ჩაცვითლებული სახე, პაწია, მაგრამ მუდამ მოძრავი თვალებით. ღვთის-მშობლის სურათის მეორე მხარეს დახატული იყო მუხლ-მოყრილი ქალი—ცოლი ნერლისა.

ნიკოლოზ ნერლი ერთი უპირველეს მოქალაქეთაგანი იყო ფლორენციაში. ის არადროს არ ეწინააღმდეგებოდა მთავრობას, არა ფიქრობდა არც ღარიბებზე და არც იმათზე, ვისაც ციხეში ჩაჯდომა ან ეშაფოტზე ასვლა ხედებოდა ხოლმე წილათ, ამიტომ ნერლი ყოველთვის პატივცემული და მიღებული პირი იყო მაგისტრატის მიერ.

ერთხელ, ზამთარში, საღამოს ყამზე ნიკოლოზ ნერლი დაბრუნდა თავის სასახლეში ჩვეულებრივზე ცოტა გვიან. სწორეთ სახლის კარებთან მას გარს შემოეხვია ტანისამოს შუოვულთალი მშვიერი ბრბო მათხოვარებისა. მათ ნერლის გაუწოდეს ხელი და დაჟინებით თხოვედნ მოწყალებას. მაგრამ ნერლიმ ლანძღვა-ვინებით შემოიფანტა გარშემო ბრბო. მათხოვრები უფრო გამწვავდენ, შამშილმა ისინი გაამხნევა და არ აძლევდენ ნერლის გზას,





რომ სახლში შესულიყო. მათ ნერლის, როგორც მშობერმა მკვლევამ, გარს წრე შემოავლეს და ჩახლქილი ხმით თხოვედნ პურს. ბანკირი ის ის იყო დაეწოდა ქვას, რომ ესროლა მათხოვრებისთვის, და ამ დროს დაინახა თვისი მოსამსახურე, რომელსაც კალათით პური მოჰქონდა. ეს პური მოსამსახურეს ეყიდნა მათთვის, ვინც ნერლის სახლის სამზარეულოში, საჯინბოში და ბაღში მსახურებდნ. ბანკირმა ხელი დაუქნია მოსამსახურეს და როდესაც იგი მივიდა მასთან, ნერლიმ დაკუმმა პურები და გადაუყარა მათხოვრებს. შემდეგ ის შევიდა სახლში და დაწვა დასაძინებლათ. მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ ნერლის ლოგინში დაბლა დაემართა და მალე მან იგრძნო თავი იმ საიქიოს, სადაც მის წინ იდგა მთავარ-ანგელოზი ცოდვა-მადლის სასწორით ხელში. მთავარ-ანგელოზი გამალებული აწყობდა სასწორის თევზზე ნერლის სიმდიდრეს, რომელიც მას ქვრივ-ოხრებისთვის საწინდრათ გამოერთმია. ნერლიმ, რასაკვირველია, იცნო თავისი სიმდიდრე. მან იცნო თავისი ფულის პარკები, რომლებიც კანონის წინააღმდეგ ვერაგობით ჰქონდა შეძენილი. იგი უყურებდა მთავარ-ანგელოზს, რომელიც წონავდა მის ბიწიერ ცხოვრებას. ბანკირი შეწუხდა და დაფიქრდა.

— ოხ, წმიდაო მთავარ-ანგელოზო!—უთხრა ნერლიმ,—რახან შენ წონავ ჩემგან შეკრებილ სიმდიდრეს, მაშ აწონე სასწორის მეორე თევზზე ის შენობებიც, რომლებიც მე საქველმოქმედოთ ავაშენე. გთხოვ არ დაიფიწო მარიამ დედოფლისთვის აშენებული ეკლესია და აგრეთვე ის საავათმყოფოც, რომელიც მე ავაშენე ქალაქ გარეთ.

— ნუ გეშინია, ნერლი, მიუგო ანგელოზმა, მე არაფერს არ დავიფიწებ. და მართლაც მან სასწორის მეორე თევზზე დასდო საავათმყოფო და ღვთის-მშობლის ეკლესია. მიუხედავად ამისთანა სიმძიმისა სასწორი მაინც ცოდვების თევზისკენ იყო გადახრილი.

— წმიდაო მთავარ-ანგელოზო, შეთხოვა კვლავ ნერლიმ, მოძებნეთ კიდევ რამე. ამ სასწორზე მე ვერა ვხედავ იმ საიაზე ჯამს, რომელიც მე წმიდა იოანეს ეკლესიას შეეწირე, არ არის არც ანდრია მოციქულის ეკლესიის ტრაპეზი, რომელზედაც მთელი ტანით დახატულია ნათლობა ჩვენი უფალის იესო ქრისტესი და რომელიც მე დიდძალი ფული დამიჯდა.

მთავარ-ანგელოზმა მადლის თევზზე დააწყო აიაზმის ჯამი და ტრაპეზიც, მაგრამ სასწორი მაინც ისევ ცოდვებისაკენ იყო გადახრილი. ნერლის ქირის ოფლს ასხამდა.

— წმიდაო მთავარ-ანგელოზო, თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ეგ სასწორი სწორეა? ჰკითხა ნერლიმ.

მთავარ-ანგელოზს გაეღიმა და უთხრა, რომ ის სასწორი სრულებით სწორეა და იმავე სისტემისაა, როგორისაც პარიზის ლომბარდებში და ვენეციელ სახურდავო კასებში ხმარობენო.

— როგორ!—ამოიგმინა შეწუხებულმა და შიშისაგან გაფითრებულმა ნერლიმ, ნუ თუ უზარმაზარი ეკლესია, საავათმყოფო თავისი კრაოტებით, ტრაპეზი და აიაზმის ჯამი ვერ უწონავენ რაღაც ერთი ბეწო ჩალას, ამ მსუბუქ ბუმბულს?!

— როგორც ხედავთ, ნერლი, მიუგო ანგელოზმა, თქვენი უსამართლო საქმეები უფრო მეტი ყოფილა თქვენ

უმნიშვნელო კეთილ საქმეებზე.

— მაშასადამე, მე ჯოჯოხეთში უნდა წავიდე? ჰკითხა ბანკირმა და შიშისაგან კბილები აუძვავდა.

— იქონიე მოთმინება, ნერლი, ჩვენ ჯერ არ გვეითავებია, ჩვენ ჯერ კიდევ დაგვრჩა აი ეს, მიუგო ციურმა დამფასებელმა, და დააწყო სასწორის თევზზე შავი პურები, რომლებიც წინა დღეს ბანკირმა მათხოვრებს გადაუყარა. სასწორის უღელი ამ პურების დაწყოებით გასწორდა და თევზები ერთი-მეორეს უმეტ-ნაკლებოთ უწონავენ.

ბანკირი უყურებდა სასწორს და არა ჯეროდა. მაშინ მთავარ-ანგელოზმა უთხრა მას:

— როგორც ხედავ, ბ-ნო ნერლი, შენ არ გამოდგები არც სამოთხეში და არც ჯოჯოხეთში. ამიტომ შენ ისევ ფლორენციაში უნდა დაბრუნდე; რადგანაც ღვთის განგების უკანასკნელი დადგენილებით თქვენისთანა ვაჭბატონებს იქავ, დედამიწაზედვე უნდა გადახდეთ თვისი ცოდვები და იქავე უნდა შეინანონ მათ თვისი დანაშაულო. ეს განკარგულება უკვე გადაეცა სადაც ჯერ არს.

ნერლის ისევ ლოგინში გამოვლიდა. მან შიშით გახედა თვის სარკმელიდან ფლორენციას, რათა დარწმუნებულყო თავის მკვლრეთით აღდგენას. ამ დროს მას შემოესმა გარედან ხალხის საშინელი ხმაურობა... როგორც ჩანდა, ბანკირებს ცოდვას ანანიებიებდნ.

იელი.

**ზნეობრივი კითხვები.**

(შემდეგი.—იხ. № 40).

როგორც წინა წერილში დავინახეთ, საზოგადოებრივი ცხოვრება ჰბადავს პირუტყვში საზოგადოებრიობას და სიმპატიას. ამგვართვე მოქმედებს საზოგადოებრივი ცხოვრება პირვანდელ ადამიანზე; მასში იბადება და ვითარდება საზოგადოებრივი გრძნობა და სიმპატია, ის თანდათან ეკვდება იმ პირებს, რომლებთანაც ის ერთათ ცხოვრობს, იმსკვალება მათდამი სიმპატიით და ბოლოს მათ არა თუ აღარაფერს ავნებს, ხშირათ კიდევ ზრუნავს მათთვის; მაგრამ არ უნდა გვაფიწყდებოდეს, რომ ეს გრძნობანი რა ძლიერნიც უნდა იყონ, არ ცილებიან იმ წრის საზღვრებს, რომელშიც ველური ცხოვრობს: სხვა თემის ე. ი. სხვა საზოგადოების წევრებზე ის ხშირათ კიდევ ნადირობს. კაცის ჰამა თითქმის ყველა ხალხში იყო გავრცელებული და კაცის მჰამელი ველურები დღესაც ბევრია დედამიწაზე. ველურის ასეთი მოქმედება ადვილი ასახსნელია: მას არაფერი არ აიძულებს დაზოგოს ისეთი ადამიანი, რომელთანაც მას არ აკავშირებს არც საზოგადოებრივი გრძნობა, არც სიმპატია. მაგალითათ ბორნეოს დაიაკები თავის თემში ძვირათ თუ ვისმე მოკლავენ, სამაგიეროთ სხვა თემის ხალხზე გაგიჟებით უყვართ ნადირობა. აფრიკაში ხშირათ ერთი თემი მეორეს ჩხუბს უმართავს მხოლოთ იმ მიზნით, რომ ადამიანის ხორცი ჰამოს. საზოგადოებრივი ცხოვრების იმგვარ მდგომარეობამდე, რომელიც ჩვენ აქამდე განვიხილეთ, ზნეობა ისე, როგორც დღევანდელ ევროპიელს ესმის, არ არსებობს,—აქ მხოლოთ ნიადაგი მზადდება ზნეობის აღმოსაცნებლათ და განსავეითარებლათ. ამ მდგომარეობაში ველურისათვის კაცის მოკვლა კი არ არის უზნეო, გასაკიცხია თავისი თემის კაცის მოკვლა მხოლოთ; მის თვა-





ლში ქურდობა კი არ არის ბოროტება, ბოროტება ის არის, როდესაც მას პარვენ რასმე, და თუ ის იპარავს რასმე, ეს კეთილი საქმეა, და სხვ.-და სხვ. ამგვარათ ასეთ მდგომარეობაში არსებობს მხოლოდ განვითარებული საზოგადოებრივი გრძობა და სიმპატია. ზნეობა ვითარდება ერთი მხრით მაშინ, როდესაც ცხოვრება რთულდება, და ყოველ ადამიანს საზრუნავი ემატება და ის გონებრივად მალდება; მეორე მხრით მაშინ, როდესაც ცხოვრებაში და ადამიანის მოქმედებაზე ეკონომიური მოსახრებანი ბატონდებიან. გართულებული ცხოვრების ზეგავლენით ადამიანს გონება უფართოვდება, საზოგადოებრივი გრძობა და სიმპატია უფრო ვითარდება და ეს უკანასკნელი ნელა-ნელა აძლევს დასაწყისს მოძმისადმი სიყვარულს, თანაგრძობას, სიბრალულს, მისთვის თავგამეტებას, დახმარებას,—ერთი სიტყვით ყოველივე იმას, რასაც საზოგადოთ ზნეობრივ გრძობას უწოდებენ. ამ გვარათ საზოგადოებრივი გრძობა შეადგენს იმ პირობას, ურომლისათაც შეუძლებელია ველურ ადამიანში სიმპატიის აღორძინება. სიმპატია კი სარჩულათ დაედვა დღევანდელი განათლებული კაცობრიობის იმ ემოციებს, რომლებსაც ზნეობრივ გრძობას უწოდებენ. მაგრამ ზნეობა მარტო ზნეობრივ გრძობას კი არ წარმოადგენს, ის შეიცავს აგრეთვე ზნეობრივ იდეებს, როგორც მაგალითათ სამართლიანობა, სხვისი საკუთრების ხელუწლებლობა და სხვ. ამ იდეების სათავე სიმპატია არ არის. რომ გადაათვალიეროთ ველურთა ცხოვრება და მათი ზნე-ჩვეულებანი, დარწმუნდებით, რომ უმეტესად ზნე-ჩვეულებათაგანი ნაყოფია ეკონომიური პირობებისა. ეკონომიური მოსახრებანი ჰბადავენ ხალხში რაიმე მოსახრებას, რომელიც შემდეგ და შემდეგ ჩვეულებათ ხდებოდა, ამ ჩვეულებას აკანონებდა სარწმუნოებრივი მოძღვრება და ამგვარათ ხდებოდა ზნეობრივ კანონათ. ზოგიერთი ველურების შეხედულებით ადამიანი საიქაოს იმ სახით არის, როგორითაც სააქაოს ტოვებს: თუ ყმაწვილი მოკვდა, საიქაოსაც ყმაწვილათ დარჩება, თუ მოხუცი, საიქაოსაც მოხუცი იქნება და სხვ. ამ მოძღვრების ძალით ღრმით მოხუცება ყველას დიდ უბედურებათ მიაჩნდა, რადგანაც საიქაოს დავარდნილ მოხუცათ ცხოვრება არავის არ უნდოდა. მამა რომ ცოტა სიბერეში შევიდოდა, საკუთარი შვილები კლავდნენ, რაც სრულებით ზნეობრივ მოქმედებათ ითვლებოდა: ის მამა, რომელსაც შვილებისაგან მოკვლა არ ეღირსებოდა, უბედურ მამათ რაცხდა თავის თავს; ჩვენ დროში კი მამის მოკვლა ერთ საზიზღარ უზნეობათ ითვლება. როგორ განვითარდა ასეთი ჩვეულება? ისეთ ქვეყნებში, სადაც ბუნება სასტიკი იყო და საზრდო ცოტა, ისეთი ადამიანის შენახვა, რომელსაც შრომა აღარ შეეძლო, ძალიან სამძიმო იყო ოჯახისათვის და ამიტომ ის ხოცავდა ღრმა მოხუცებულებს ან დიდხნის სწეულებს, რომლებსაც შრომა აღარ შეეძლოთ. ასეთი მოქმედება თანდათან ჩვეულებათ გადაქცა, ჩვეულებათაზე აშენდა მისი გასამართლებელი სარწმუნოებრივი წარმოდგენა და ამგვარათ საზიზღარი მოქმედება ზნეობრივ აქტათ გადაქცა. მელანგიელები, კალედონიელები, ვიტეიელები და სხვ. დღესაც ასე იქცევიან, თუცა ამ უკანასკნელთ გონებრივი განვითარებით აფრიკის დაიურები და კალიფორნიელები სრულებით ვერ ჯობიან, მაგრამ ესენი მოხუცებს დიდ პატივსა ცემენ და მათი არა თუ მოკვლა,

შეურაცხყოფაც კი დიდ უზნეობათ ითვლება. რათ განვითარდა ამ ველურებში სრულებით წინააღმდეგი ზნეობრივი წარმოდგენა, ვიდრე პირველებში? იმიტომ რომ უკანასკნელთა ქვეყანა ბუნებით მდიდარია, მიწა საზრდოს ბევრს იძლევა, ფრინველი და ნადირი ბევრია და ამიტომ იმ პირთა დახოცვას, რომლებსაც საკუთარი შრომით თავის რჩენა აღარ შეუძლიათ, ეკონომიური მოსახრებანი სრულებით არ ითხოვენ. ბევრი ველურები დღესაც ხოცავენ დედრობითი სქესის ბავშვებს, ვაჟებს კი ტოვებენ. რა არის ამის მიზეზი? როგორ წარმოადგა ამგვარი ჩვეულება? ერთათ ერთი მიზეზი საზრდოს სიკოტავა ასეთი ჩვეულობა არსებობდა და არსებობს ისეთ ქვეყნებში, სადაც ბუნება მეტათ მკაცრი და ღარიბია და მიწა უნაყოფო. მამაკაცს, როგორც ღონიერსა და ბუნებისაგან შობიარეობისაგან განთავისუფლებულ არსებას, შეუძლია თავის გამოკვება და თემის დაფარვაც მტრისაგან; დედაკაცი კი სუსტი არსება არის უფრო, ჩვეულებრივ მდგომარეობაში მას ისევე მამაკაცმა უნდა უშოვნოს საზრდო და, როცა ორსულია, მაშინ ხომ სრული მუქთახორაა საზრდოობის მხრით; ამიტომ გაჭირვებამ აიძულა ველური დედრობითი სქესის ბავშვები დაეხოცა. ამგვარი ჩვეულების თემში ქალები ყოველთვის ცოტა იქნებოდნენ მამაკაცებზე და აქედან ძალაუფლებურათ უნდა წარმოშობილიყო პოლიანდრია (ე. ი. რამოდენიმე ქმარს საერთო ცოლი) და ეგზოგამია ანუ ქალის მოტაცება; რადგანაც ველური თავის თემში ქალს ვერ შოულობდა, ის იძულებული იყო სხვა თემის ქალი მოეტაცა; ასეთი მოქმედება გადაქცა ჩვეულებათ, ჩვეულებამ გამოიწვია შესაფერი სარწმუნოებრივი შეხედულება და დღესაც ტასმანიაში, ავსტრალიაში და მელანგიის კუნძულებზე თავისივე თემის ქალის შერთვა უზნეობათ ითვლება, ეგზოგამია კი საამაყო და ზნეობრივ მოქმედებათ. ეკონომიურივე მოსახრებანი უდევს სარჩულათ მუცლის მოშლას, რაც ასე გავრცელებულია ზოგიერთ ველურებში; მაგ., ტასმანიელებში ის ქალი, რომელსაც პირველ ორ ორსულობაზე მაინც არ წაუხდენია მუცელი, გაკიცხვასა და ზიზღს იწვევს ყველას თვალში. ფორმოზას კუნძულზე ქალმა მუცელი არ უნდა შეირჩინოს ოცდათექვსმეტ წლამდე და მუცლის მოშლას სარწმუნოებრივ წარმომადგენლები ასრულებენ. ამის ერთათ ერთი ახსნა იმაში მდგომარეობს, რომ ეს კუნძული თავისი სიპატარავისა გამო ბევრ ხალხს არ ეყოფა და ამიტომ ნამეტან გამრავლებას საზოგადო აზრი უარყოფს. ეტნოგრაფია ამაზე უკეთეს მაგალითებს იძლევა იმის შესახებ, თუ ხშირათ რა გასაოცარ ზნეობრივ შეხედულებას ჰბადავს ხალხში. ჩვენ მოვიყვანთ მხოლოდ ორ ასეთ მაგალითს. ავსტრალიის ზოგიერთ ალაგას გარეული ცხოველები ძალიან ცოტაა, ზოგან ერთათ ერთ გარეულ ცხოველს ემუ შეადგენს, მაგრამ ისიც იმდენათ ცოტაა, რომ მისი ჰამა ძვირათ თუ ვისმე ეღირსება. რადგანაც ერთი ემუ მთელ ოჯახს არ განვდება, ამიტომ უფროსი კაცები მარტო თვითონ შეჰამდნენ ხოლმე, თუ დაიჭრდნენ ამ პირუტყვს, უმცროსები კი ისე რჩებოდნენ. ასეთი მოქმედება დროთა განმავლობაში ჩვეულებათ გადაქცა, ჩვეულება კი დააკანონა რელიგიურმა მოძღვრებამ, რომელმაც გამოაცხადა: ემუ წმიდა ცხოველია, მისი ხორცი მარტო მოხუცებმა უნდა იგემონ, ახალგაზღვების მიერ



მისი ჯამა დიდი ცოდვით. ერთ ახალგაზდა ველურს ემუ მოეკლა; ძალიან მოშივდა, თუ სულმა წაძლია, ემუ შე-  
 ჯამა, მაგრამ ვაი ამ შექმას: დაბრუნდა თუ არა სახლში,  
 არა გაამხილა-რა, მაგრამ იმ ფიქრმა, რომ მან დიდი ცო-  
 დვა ჩაიდინა, მოსვენება წაართვა, ყოველგვარი ხალისი  
 და მხიარულება დაუკარგა, დაასევდიანა და ბოლოს იგი  
 იძულებული გახდა, უფროსთა წინაშე აღეარებია თავისი  
 დიდი ცოდვა!

ტაიტიზე არსებობს არეობის საზოგადოება, რომე-  
 ლიც რელიგიურ და ფრიად ზნეობრივ დაწესებულებათ  
 ითვლება. საზოგადოების მიზანია სქესობრივ სიამოვნებას  
 სრული თავისუფლება მიცეს, შეილიერობა კი მოისპოს.  
 საზოგადოების წევრები არიან ქალები და კაცები; მათ  
 გარყვნილებას საზღვარი არა აქვს, ხოლო თუ ვინმე და-  
 ორსულდა, ან მუცელი უნდა მოიშალოს, ან ახლათ და-  
 ბადენული ბავშვი მოკლას. ვინც არ ასრულებდა ამ პი-  
 რობას, ეს ისეთ დიდ უზნეობათ ითვლებოდა, რომ დე-  
 დაც და მამაც მყისვე ირიცხებოდნენ წევრობისაგან და  
 ხალხის ზიზღისა და დაცინვის საგნათ ხდებოდნენ. ტაი-  
 ტიზე საზრდო ცოტაა, ხალხის გამრავლება ამიტომ სა-  
 შიშია და მუცლის წახდენა და ბავშვების ხოცვა ჩვეუ-  
 ლებათ შემოვიდა; ჩვეულებას კი მიემატა სარწმუნოებ-  
 რივი მოძღვრება და ასეთი საოცარი სარწმუნოებრივი  
 საზოგადოება. ყველა ამ მაგალითებიდან, მგონი, აშკა-  
 რაა, რომ ზნეობრივი იდეების წარმომშობი ეკონომიური  
 პირობები არიან; ამ პირობათა ცვლა იწვევს ზნეობრივი  
 იდეების ცვლასაც.

მოკლეთ მოვეყრით თავს ყოველივე იმას, რაც ზე-  
 მოთა ვთქვით. ის მხეცი ადამიანი, რომელიც ტყეებში  
 დახეტიალებდა, წარმადგენდა მხოლოთ ეგოისტს, რომ-  
 მელსაც ერთ-ერთი უფლება რწამდა — ძალა — და რომ-  
 მელსაც მხოლოთ საკუთარი სარგებლობა ამოქმედებდა;  
 როდესაც იგი გახდა საზოგადოებრივ არსებათ, პირველ  
 ხანებში იგი ისევ თავისი ეგოისტური ბუნებით ხელმძღვა-  
 ნელობდა ყოველ თავის მოქმედებაში, მაგრამ დარწმუნ-  
 და, რომ ამგვარი ცხოვრება მისთვის საზარალო იყო,  
 ამიტომ მას დაებადა გრძნობა იმათი ხელუხლებლობისა,  
 ვინც მას ღონით არ დაუფარდებოდა: ის ხელს აღარ  
 ახლებდა მამაკაცებს, დედაკაცებსა და ბავშვებს კი არ  
 ზოგავდა. ცხოვრებამ ნელნელა აღორძინა და განავითარ-  
 რა მასში საზოგადოებრიობა და სიმპატია იმდენათ,  
 რომ ის აღარას ერჩოდა თავისი თემის წევრებს, ეხმარე-  
 ბოდა კიდევ მათ საჭიროების დროს, მაგრამ სხვა თემის  
 წევრებს კი არ ინდობდა.

სამწუხაროთ, ზოგიერთ კითხვაში ზნეობის ამგვარ  
 საფეხურს დღესაც კი ვერ გაცილებია დღევანდელი გა-  
 ნათლებული კაცობრიობა.

ი. გომარაშვილი.

(შემდეგი იქნება).

კავკასიის გამოფენა.

IX. მეფუტკრეობა და მეაბრეშუმეობა.

ამ ორ დარგს მეურნეობისას ჩვენ ქვეყანაში სასურ-  
 ველი ნიადაგი აქვს და მათი ზრდა-განავითარება ყველასა-  
 თვის ცხადია. მეფუტკრეობის და აბრეშუმის მოვლას ჩვენ-  
 ში ძველათვე მიღვედნენ და ძლიერ გავრცელებულიც იყო,

მაგრამ იმგვარი მეფუტკრეობა-მეაბრეშუმეობა, რომლის  
 ნიმუშსაც დღეს გამოფენაზე ვხედავთ, ჩვენში სულ ახალი  
 საქმეა. აქ ხედავთ თქვენ შენეიერ დასაშლელ სკებს (ბუ-  
 კებს) რამოდენიმე სართულით და ამოსადები ჩარჩოებით,  
 ხელოვნურათ დამზადებულ ფიჭებს, თაფლის საწურავე ია-  
 რადებს, აგრეთვე შენეიერ პარკებს, ამოხვეულ ძაფებს და  
 ძვირფას ნაქსოვებს. ყოველივე ეს ჩვენთან დასავლეთიდან  
 მოსულია და არა აღმოსავლეთიდან. კიდევ გავიმეორებთ,  
 რომ ამგვარი მეფუტკრეობა და მეაბრეშუმეობა ჩვენში  
 სულ ახალი საქმეა და თუ ვის მიუძღვის იმათ აღორძი-  
 ნებაში თვალსაჩინო ღვაწლი, ამაზე ჩვენ შემდეგ მოვილა-  
 პარაკებთ, ახლა კი ჩავათვალთ იეროთ გამოფენილი ექსპო-  
 ნატები.

მეფუტკრეობის ნაწილი უფრო მდიდარია აბრეშუმი-  
 საზე, თუმცა აქაც უმთავრეს ყურადღებას გარეგნული მო-  
 რთულობა უფრო იქცევს, ვინც წარმოდგენილი ნივთების  
 სხვა-და-სხვაობა. შენეიერათ მორთულია ბარხუდაროვის  
 და ზურაბოვის ფიტრინა, რომელშია ცამოწყობილია მრ-  
 ვალი თაფლით საესე ბანკები, შენეიერ კოლოფებში ჩას-  
 მული თაფლიანი ფიჭის ნაჭრები, მთელი ჩარჩოები დაბე-  
 კდილი თაფლით და სხვ. ბებუთოეს გამოფენილი აქვს  
 მრავალი ბანკები თაფლით, თაფლის სანთლები და ჩარ-  
 ჩოები. ჟადენოეს ზემოაღნიშნულ ნივთებს გარდა გამო-  
 უფენია ხელოვნურათ დაკეთებული ფიჭები, თაფლის ღვი-  
 ნოები და სხვ. ამგვარივე ექსპონატები წარმოუდგენიათ:  
 ღუზობოროეს, მაჩაბელს, მღვდ. ჯალიაშვილს, საბოს,  
 სტრუმილოლს, ონიკოეს და სხვ. მათარაძეს გამოუფენია  
 კოლექცია სხვა-და-სხვა ავთიმყოფობათა და ფუტკრის  
 ზრდის შესახებ. გარდა ჩამოთვლილ ექსპონატებისა, საყუ-  
 რადღებოა: ოგანესიანცის, მელიქ-ბახტაძის, მოისევი-  
 ეის, მხიტარიანცის, ჩიტოეის, ვაჩნაძის, პოპოვის, და  
 ერისთავისაგან გამოფენილი ნივთები.

აბრეშუმეულობაში უმთავრეს საგანს შეადგენს პარ-  
 კები, ამოხვეული ძაფები და აქა-იქ ნაქსოვი-ნაქარგებიც.  
 ჩვენ ჩამოვთვლით მარტო იმათ, რომლებიც უფრო ყუ-  
 რადღების ღირსნი არიან. ავანესა ანიევი: ამოხვეული ძა-  
 ფები, პარკები, ყაჭი სხვ. მნაცაკანოვი: ამოხვეული ძა-  
 ფები, პარკები და იმათგან დაკეთებული სხვა-და-სხვა ყვა-  
 ვილები. პანიანცი: ძაფები, პარკები; ლობიო, ყურძენი,  
 ატამი, შინდი, სიმინდი, კაკალი, ხორბალი, ნუში, ბამბის  
 პარკი, წაბლი და სხ., თუმცა ვერ მივხვდარვართ ამ უკა-  
 ნასქნელ საგნებს რა ერთობა აქვთ აბრეშუმთან. დალ-  
 გატი: სხვა-და-სხვა ნაქსოვები და ამოხვეული ძაფები. რი-  
 ზა-კული-რიზაევი, მისანიკოვი, სარქისოვი — გამოფენილი  
 აქვთ სხვა-და-სხვა ნაქსოვები და ამოხვეული ძაფები. არუ-  
 ნიანცს, ვაზარიანცს და ტერ-კვეორკოეს გამოფენილი აქვთ  
 სხვა-და-სხვა ნაქსოვები და ძაფების ნიმუშები. დასასრულ  
 ორიოდ სიტყვა გურიის «მუშაძეალებზე», რომელიც გულის  
 გასანათლებლათ ამართულა აქ. გამოფენილია სხვა-და-სხვა  
 ნაქსოვები და პარკები, რომლებშითაც შენეიერათ დაუწე-  
 რიათ წითელ ფიცარზე: „კავკასიის საიუბილეო გამოფე-  
 ნა“, მეორე ფიცარზე კი 1801—1901 წელი. ეს ორი ფი-  
 ცარი ზედ წარწერით მოსე წინასწარმეტყველის ორ ფი-  
 ცარზე დაწერილს ათ მცნებას გვაგონებს. ნაქსოვთაგან  
 უმთავრესათ ცხვირსახოცებია, რაც იმას მოწმობს, რომ  
 გურიაში სურდო ძლიერ გავრცელებული უნდა იყოს.  
 ჩემ ყურს არა ერთხელ და ორჯერ გაუგონია, რომ ვი-





თომც ამ საქსოვს და ნაქსოვებს არაფერი სარგებლობა მოჰქონდეს ამხანაგობისათვის და დახურვის ღირსიც იყოს. მაგრამ იმ ვაჟბატონებს მარტო ამხანაგობის კეთილ-დღეობა აღაპარაკებდა უთუოთ და კავკასიის საიუბილეო გამოფენა მხედველობაში არა ჰქონიათ. მართლაც და მადლობით უნდა მოვიხსენიოთ ბ-ნი ნ. თავდგირიძე, რომელმაც ერთ-ერთ შარშან-წინდელ «შუამავლის» წევრთა კრებაზე თავგამოდებით იბრძოლა საქსოვი ქარხნის დახურვის წინააღმდეგ და საყურადღებო სტატისტიკური ცნობების შემწეობით დაუმტკიცა კრებას მისი საქროება. ეს ცნობა იმაში მდგომარეობდა, რომ ერთი (თუ არ ეიცო ნახევარი) დუქინი ცხვირსახოცი ყოველად სამღვდელს ალექსანდრესაც უკიდა!

დღეს კი ამ ცხვირსახოცებმა სირცხვილიდან გამოიყვანა მთელი გურია, თორემ შენი მტერია ჩვენ თავი მოგვეჭრებოდა დუნიაში!.. მე არ შემძლია არ ვუსაყვედურო ამხანაგობის გამგეს, თუ პატრონს, რომ აზრათ არ მოსვლია რაიმე სტატისტიკური ცნობა წარმოედგინა ამხანაგობის ზრდა-განვითარების შესახებ. იქიდან მნახველი გაიგებდა თუ როგორ პირნათლათ ასრულებს ამხანაგობა თავის „პირდაპირ“ დანიშნულებას, ე. ი. «შუამავლობას».

დასასრულ აქ უნდა აღვნიშნო ერთი გარემოება: მე აბრეშუმეობის განყოფილებაში მე ბევრი ეფიქე ერთი ჩვენი სახელგანთქმული ამხანაგობა, რომლის დანიშნულებას მე აბრეშუმეობის გავრცელება და წარმატება შეადგენს. მე მოგახსენებთ კუხის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობაზე. მაგრამ მეაბრეშუმეობის განყოფილებაში „პირველ ამხანაგობას“ არ უცნია საქროთ გამოეფნა თავისი თავი, იგი სადღაც კუხტულში მიმალულა, რომ არავინ შეამჩნიოს! და კარგათ მოქცეულა, ჩვენი აზრით, რადგანაც საჩვენებელი მას სწორეთ რომ არაფერი ჰქონებია, თუ არ მოუსურვებია, რომ რამე სახეირო გამოეტანა ქვეყნის საჩვენებლათ. თქვენ აქ ნახათ მხოლოდ აბრეშუმის ნაქსოვის ორაოდე ნიმუშს საცოდავთ დაწყობილს! საბრალო კუხის საზოგადოება! თუ ამაზე მეტი არაფერი ჰქონდა, უმჯობესი იყო კუხს იგი არ გაცოლებოდა!

**X ნადირობა და მეთაურობა.**

მოგეხსენებათ, რომ კაცობრიობის უმეტესი ნაწილი ისტორიის პირველ ხანებში თავს მხოლოდ ნადირობით იჩინდა. ნადირობა სიმრავლე და სხვა-და-სხვაობა ხელს უწყობდა ჩვენ შორეულ წინაპრებს, რომ ისეთი უბრალო იარაღის საშუალებით, როგორც, მაგ., კეტან ჯოხზე მიკრული მკრელი ქვა, საქრო სარჩო ეშოვნა და ოჯახი გამოეყვება. რადგანაც ეს ხელობა მრავალგვარ საფრთხესთან იყო შეერთებული, ამიტომ უმთავრესათ ნადირობა მამაცთა საქმეს შეადგენდა. ჩვენ დროში ნადირობა დროს გასატარებელ საშუალებას შეადგენს და იშვიათი შემთხვევა კაცს შიმშილმა თოფი ააღებინოს ხელში. ნადირობა რიცხვმა შესამჩნევათ იკლო და კაცებზე ნადირობა ხომ კანონის ნებადართუვლათ აღკრძალულია.

ახლა შევიხედოთ ნადირობის განყოფილებაში: შიგ კარებშივე დაგინებლათ უკანა ფეხებზე შემღვარი დათვის ბელი, რომელსაც ხელში ლამაა უჭირავს. საქროა გახსოვდეთ, რომ ცოცხალი აქ არაფერია და ჩვენ როცა დათვის ბელს ან სხვა რაიმე ცხოველს ვსახელებთ, მაშინ ლაპარაკი თივით გატყინილ ტყავზე ან როგორც იმას უწო-

დებენ „ჩუჩელოზეა“. იქვე ახლოს დგას კარგა მოზრდილი დათვი, რომელსაც ქვევიდან ცბიერი თვალებით შეცქერის ეშპაკი მელია. ამ კამპანიას ახლავს ერთი ზორბა მგელიც. მალლა კედლებზე მიქედლია მდიდარი კოლექცია ღორის თავებისა (რიცხვით ხუთი). აღმოსავლეთის კედელთან დგას პატარა ნაფი, გარშემო ლერწმის ტოტებია ჩარქობილი და მრავალგვარი ქაობის ფრინველები ახვევია. თურმე ეს ქაობის «მოდელია». სამხრეთის კედელზე ერთი მხრით გამოკიდულია მრავალგვარი სანადირო თუ სახეხუბარი იარაღები: თოვები, რევოლვერები, დაშაჩები, ხმლები, ხანჯლები და სხვ. მეორე მხარეზე გამოფენილია სხვა-და-სხვა პირუტყვთა ტყავები და მინადირის ტანთ-საცმლები. დასავლეთის კედელს აშვენებს ქ-ნ რიბანსკისაგან გამოფენილი ფრინველები, ხოლო ჩრდილოეთის კედელზე გამწკრივებულია ბ-ნი მეცლერისაგან გამოფენილი თხის თავების კოლექცია. ოთახის შუაგულში ამართულია ხელოვნური სიბი, რომელზედაც შეუსკუბებიათ ოთხფუთა და ფრთოსანთა წარმომადგენლები. ეს უკანასკნელიც ბ-ნ მეცლერს ეკუთვნის.

მეთევზეობის განყოფილებაში ყურადღებას იქცევს პიტოვისგან გამოფენილი ექვსი ბოჭკა სხვა-და-სხვა თევზებისა, მეთევზის ტანისამოსი, თევზის წებო, ბარყების მოდელები და სხვ. თითქმის ამგვარივეა მაილოვის, ლევიტოვის და აბაზოვისაგან გამოფენილი ექსპონატებიც. ერთ კუთხეში დგას გაბერილ ტყებზე მოწყობილი მცურავი ქოხი მეთევზისა მთელი თავისი ბარგი-ბარხანით. დასავლეთის კედელთან გაკეთებულია პატარა აუზი, რომელშიაც შეიდი თუ რვა თავი თევზი დაუტუსაღებიათ. წყალი აუზში სილამაზისთვის მუდამ მღვრივეა. ოთახს უმთავრეს მორთულობას შეადგენს სხვა-და-სხვა სიდიდის ბადეები, ანკესები, თოკები და სხვა ამგვარები.

**XI სამიწადმოქმედო იარაღები.**

მიწის მუშაობა ჯერ-ჯერობით ჩვენი გლეხობა-თავად-აზნაურობის უმთავრეს ხელობას შეადგენს და მათი უმეტესობა თავს ამით იჩენს. მიუხედავად ამისა ჯერ ჩვენ მეურნეობას და კერძოდ მიწადმოქმედებას არაერთრად ცვლილება-განვითარება არ ეტყობა. ჩვენი გლეხი ხნავს ჯერაც იმ ადამისეული გუთნით, ფარცხავს იმე მამაპაპეული ფარცხით, მკის ძველებურათვე ნამგლით, და ლეწავს კვერებით. ერთი სიტყვით, ჩვენი მეურნეობა ჯერაც კიდევ მამა-პაპეულ ქერქშია გამოხვეული და არც აპირობს გამოძრობას. როდესაც თქვენ გადაათვალიერებთ მე-XI განყოფილებაში გამოფენილ იარაღებს და იმათ ჩვენებურ გუთან-ფარცხს დაუბირდაპირებთ, თქვენ ნათლათ წამოგიდგებათ ის მდგომარეობა, რომელშიაც ჩვენ ვდგევართ, დანახავთ თუ რამდენათ უკან ვართ ჩამორჩენილი განათლებული ქვეყნებისგან.

იარაღები გამოუფენია რამდენიმე ფირმას: აუფერმანს, პასიკს, იარალოვს და ოსბორნს. გამოფენილია მრავალგვარი გაუმჯობესებული გუთნები, სალენწი და სანიავებელი მაშინები, სამკელი, საფოცხი და სათიბი იარაღები. სხვა-და-სხვა ნაირი ცვლები, სამთითები, ძნის შესაკრავი იარაღები, ფარცხები, ყურძნის საქაჯავეეი, სიმინდის საფშენი მაშინები და სხვ. აქვე დგას ორი სალენწი მაშინა.



ქართული თეატრი.

წარსულ ხუთშაბათს ქართული დასის მიერ სათავად აზნაურო თეატრში წარმოდგენილ იქნა 5 მოქმედებანი ღრამა ერისთავისა „სამშობლო“. ჩვენ ბევრჯერ გვინახავს ეს ღრამა ქართულ თეატრში წარმოდგენილი, მაგრამ ამისთანა სუსტათ, ასე უხეიროთ კი არაღროს. ლევან ხიმშიაშვილის როლს, როლს, რომელიც შეადგენს უმთავრეს კვანძს პიესაში და რომელიც იხატება მთელი ტრაგიზმი პიესისა, თამაშობდა ბ-ნი სვიმონიძე. მისი ჩვეულებრივი ხელების ქნევა, თეატრის ბრიალი და ყარამანისებური ქეჩა-ქუხილი მხოლოდ პაროდია იყო იმ ფსიხოლოგიური მომენტებისა, რომლებიც იხატება ზემოხსენებულ როლში. ხოლო ბ. სვიმონიძეს ვერ დავემდურებით უხალისობაში ან როლის უგულვლოთ მოპყრობაში, პირიქით ის ძლიერა ცდილობდა გამოსულიყო რამე მისი თამაშობიდან, მაგრამ ამისთანა რთული როლის შესრულებისთვის მოთამაშეს მართლაც რომ არტისტული ნიჭი უნდა შესწევდეს. ქეთევანის როლს თამაშობდა ქ. კარგარეთელი. ისიც, რამდენათაც კი შესაძლო იყო, მხარს უჭერდა ბ-ნი სვიმონიძეს უხეირო თამაშობით. ჩვენ სცენაზე ვხედავდით მხოლოდ ქართულათ ჩაცმულ ქალს, რომელიც მზათ იყო ყოველ წუთას „სამაია“ ჩამოეარნა და არა ქეთევანს, რომელიც ებრძვის გამწარებული ცხოვრების გარემოებას და მზათ არის მიეგებოს სიკვდილს, ოღონდ კი თავის მიზანს მიაღწიოს. ლეონიძის როლს თამაშობდა ბ-ნი გამყრელიძე. მისი თამაშობა თუმცა მკრთალათ ხატავდა სამშობლოსათვის სიყვარულით აღგზნებულს მამულიშვილს და ცოლისგან უარყოფილს გამწარებულ ქმარს, მაგრამ სხვებთან შედარებით მაინც უკეთესი იყო და თავის როლს არ ახდენდა. შახის როლს თამაშობდა ბ-ნი გედევანოვი. არა გვერინა მხრებში მოკუზვა, თეატრის იატაკზე ცეცება და მხოლოდ იდაყვქვევით ხელების მოკლეთ ქნევა ხატავდენ მრისხანეს, ყველასთან თავმალლა აწეულს, სისხლით გაუმადლარს, მედიდურ სვავს, რომელიც თამაშათ დასრიალებდა საქართველოს ახორებული ველებზე. შახის ქალის როლში არ ვარგოდა აგრეთვე ქ-ნი მღვიანი. ბატონიშვილ დადიანის როლში ბ-ნი მირიანაშვილს აკლდა გამბედაობა, თავისუფალი მიმოხვრა და ბოლო სცენებში როლის უცოდინარობაც. რაც შეეხება დანარჩენ წვრილმან მოთამაშეებს, იგინი საერთოთ ერთ გოდორში არიან მოსაქცეენი: როლის უცოდინარობა ზედ ერთოდა მათ სცენაზე გზა დაბნეულათ ხეტიალს და გამოდიოდა კრილოვის «Лебедь, щука и рак».

წარმოდგენას ხალხი ბლომით დაესწრო.

მელომანი.

საქართველოს ისტორიის მცოდნეთა საუკრავდებოთ.

წელს შესრულდა 40 წელიწადი რუსეთში ბატონყმობის მოსპობის დღიდან. მოსალოდნელი იყო, რომ რუსეთის ცხოვრებაში ამ უსესანიშნავეს მომენტის 40 წლის იუბილეს შესაფერისათ შესვდებოდენ ცხოვრებასა და ლიტერატურაში: პირველში მას მიცემდენ სახალხო დღესასწაულის ხასიათს, როგორც ამგვარ მომენტებს თვის ისტორიულ ანსებობაში ყოველი კულტურული ერები სახალხოთ და შესამჩნევლათ დღესასწაულობენ. მეორეში კი კვლადით ამ საკითხს გაბინტუ-

რი კარ-ჩაკეტილობის ხასიათს ჩამოაცდიდენ, დიდროს სსმეცნიერო წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებში დიდი ძინიდან მცირე გროვილ მასალას თანადროულ მეცნიერულ მეთოდზე ადვილ გასაკები ენით ასხმულ-აკინძულს მდამოა ხალხს მიაწვდიდენ და შეკვნიებდენ მას ბატონყმობის მოსპობის კულტურულ მნიშვნელობას.

მარც კს დიადი მოლოდინი ყველას გაუტრუკდა; ამ დღესასწაულისათვის ცხოვრებაში ყველას მოუწადებელი დაწნა. ლიტერატურასაც დიდი შენაძენით არ დაუესჩუქებოვართ ამ დროს და რომ ს. კნიაზოვის „Какъ сложилось и какъ пало крѣпостное право“ და გ. ნოსოვიჩის „Какъ крестьяне изъ людей вольныхъ стали крѣпостными, а затѣмъ снова вольными“ წიგნაკები არა, სრულიად შეუმჩნევლათ ჩავლიდა წრკვანდელი დირს-შესანიშნავი წელი რუსეთის ცხოვრებაში.

ოართავე კს წიგნაკები სახალხო ადვილ საკითხავ წიგნაკებთავანს კუთვნის და ამ მსაით ერთი მეორეზე უკეთ დაწნა რილი არიან, მხოლოდ რაც პირველის დირსებას შეადგენს, კ. ი. მისი თანამედროვე მეცნიერულ მეთოდზე აკება—ის მეორეს აკლია, რაც მას სამეცნიერო ხასიათს უკავრავს. ბ. კნიაზოვის წიგნაკი რუსეთის მწერლებს საუკეთესო გამოკვლევებსა და მიაყრებელი და ეტუება მასალის მოსალოდნელათ საჩვებლობა და მისასკვდრათ იმათი შესავება-გაშუქება. იგი შეიცავს რუსეთში ბატონყმობის და მისი მოსპობის ისტორიას.

დღეს, როდესაც როგორც რუსეთის, ისე ჩვენი ცხოვრებას სსკანაირი ძველებური კარ-ჩაკეტილობის ხასიათს კარგავს და სახლი ელფური ედება, საჭიროა ხალხმა იცოდეს თუ რა ნიადაგზე აღმოცენდა უოკლეივი დღევანდელი, როგორც თანდათანობით მიმდინარეობდა ცხოვრება ერთსა და მეორე მესობელ ნებით თუ უნებლათ დაწნათესაველ ქვეყნებში. საჭიროა ვიცოდეთ, ვინ როგორ კულტურულ მალას წარმოადგენდა ამ დაწნათესავებამდე, რათა სამყრმისე მოთხოვნილებანი მის დაგვარათ დაკავძყოფილოთ და საჭირო სკედრი მისაზლავი მივიზლოთ.

აი ამ მიზნით გადავთარგმნე პირველი ზემოთ დაწნა-ლებული წიგნაკთავანი ქართველი მდამოა მკითხველებისათვისაც სკემისაწვდენი. მხოლოდ საჭიროთ მიმანხის ამ გამოცემას დაუძტო საჭარბოვლოში ბატონყმობის შესახებ ამგვარივე მდამოურათ დაწნა რილი, რათა მკითხველისათვის წიგნი უფრო სანტურესო გასდეს. ამიტომ მივმართავ ჩვენი ქვეყნის ისტორიის მცოდნეთ და ვთხოვ რომელიმე მათგანმა დაგვიწეროს შესავარი წერილი სიდიდით არა უმეტეს 40—50 გვერდისა რუსული დედანის ოფორმატით, რათა წიგნაკი არ გაკვიდიდდეს და მით არ გაკვიმიდდეს ამ სახალხო წიგნის გამოცემა. სიდიდეს რომ არ ვერიდებოდეთ, შეგვიძლო ამ წიგნაკისათვის სსკვ ქვეყნებში ბატონყმობის შესახებაც დაგვიმტებია წერილი, ანუ შიგა და შიგ ცნობები, მარც წიგნაკის ამგვარ გადიდებას ვერიდებით, რადგან ვიცით, სამეცნიერო წიგნები ჩვენში ჰურაც თარბების საშკენებლათ ისტამბუიან...

წერილისათვის პროგრამის მიცემას, რასაკვირველია, მე არ ვკისრულობ, მხოლოდ მივეუთითებ დამწერს თვით ამ რუსულ დედანზე, რომლის დაგვარათ ქართული წერილის დაწნაც სასურველი არის. კნიაზოვის წიგნაკის მსურველს შეუძლია დაიბროს ჰეტერბურგიდან ო. ნ. პოპოვის ქალის წიგნის მალაზიიდან (ხუკვი პრ., № 54), ხოლო ნოსოვიჩის წიგნი კი—ქ. რველიდან თვით ავტორისაგან.





ვინც ამ დაჯილდოების შესრულებას იკისრებს, კონსო დრო-  
ზე შეგატყობინოს „კვალის“ რედაქციას, რათა ერთ და  
იმავ დროს სხვა-და-სხვა პირი არ შეუდგეს შრომას. შრო-  
მის დაჯილდოებაზე შეპირებას არ კვირდობ, რადგან თვით  
არ ვიცი რა პირობის გამოძეგმელს ავიჩენ. გამოცემას ვი გუ-  
ჩქარებ.

1901 წ. გენერალის 13.

ბ. გვიცარძიძე.

**მედიკალური მითითებები.**

„კვალის“ № 38-ში დაბეჭდილი იყო ბ. ა. თურ-  
ვანდოვის წერილი შესახებ ექიმის ბ. გრ. ელიაშვილის მო-  
ქმედებისა. ამ წერილის შესახებ 39 ნომერში დაბეჭდა  
ბ. გრ. ელიაშვილის პასუხი.

ჩვენ არც გვსურს და არც ძალგვიძის იმის გამო-  
კვეთა, თუ ვინ არის მართალი.

ჩვენ მხოლოდ ამ წერილებიდან ერთი ფაქტი ვვა-  
ინტერესდებით. ბ. თურვანდოვი უჩივის ბ. ელიაშვილს, რომ  
თავის დროზე არ დამიმოწმა ექიმის მოწმობა. ვიდრე  
ბ. ელიაშვილს პასუხს წავეკითხავდი, არ მჯეროდა იმის სი-  
მართლეთ, თუ ექიმის მოწმობის დამოწმებას კიდევ ვინმე  
თხოულობდა. მხოლოდ ბ. ელიაშვილის პასუხის წაკითხვის  
შემდეგ ვი დავრწმუნდი, რომ ის, როგორც ქალაქის  
(მართებლობისაგან) ექიმი, თურმე დასტურს აძლევს სხვა  
ექიმების ხელმოწმებს მკვდრების დამარხვის შესახებ და  
თურმე უამდასტუროთ კერძო ექიმის მოწმობას ქ. ბა-  
თუმში ძალია არ ჰქონია. ეს უცნაური ამბავი სწორეთ  
პირველათ გვესმის, და ალბათ ქ. ბათუმში გამოუგონი-  
ათ, წინააღმდეგ მთელის რუსეთის იმპერიის კანონმდებ-  
ლობისა, რომელიც აი რას გვეუბნება: „Свидѣтельства  
сн (т., е. на погребеніе) выдаются врачемъ, поль-  
зовавшимъ умершаго или же, при неимѣніи такового,  
полицейскимъ врачемъ“ (об. Сводъ узаконеній и  
распоряженій правительства по врачебной и сани-  
тарной части въ Имперіи. Вып. II. Ст. 702 § 463  
Выс. утв. пол. Ком. М-ровъ 3 и 17 окт. 1867.  
Изд. Медицинскаго Департамента, Спб. 1896—  
1897 г.).

ნუ თუ ქ. ბათუმის ექიმებისთვის ეს კანონი არ  
მოქმედობს?! \*).

ერთი ექიმთაგანი.

**წერილები რედაქციის მიმართ.**

ქნო რედაქტორო! „ამ წლის“ კვალის № 35-ში იყო  
დაბეჭდილი ჩემი შენიშვნა ჭიათურის თეატრის შესახებ, რა-  
მელმაც რაიმე პროტესტი გამოიწვია ჩემ საწინააღმდეგეთ, ამი-  
სთვის ნება მიბოძეთ მეც ვასუსი გავსცე რაიმე კრთათ ესე  
იგი ბ. ბალანჩივაძეს და ბ. «სტენის მოყვარეს», რადგან ლა-  
ზარაჟი ერთსა და იმავე საგანზეა.

ყოლისივე წარმოადგენდა, მაგრამ ბ. ბალანჩივაძე თუ  
ხმას ამოიღებდა ჩემი შენიშვნის საწინააღმდეგეთ, ამას ვი

\*) ჩვენ სიამოვნებით ვბეჭდავთ ამ შენიშვნას, მით უფრო, რომ  
ავტორი, როგორც თითონაც ამბობს, ახლო იცნობს ამ საგანს. მარ-  
თლაც საინტერესოა ვიცოდეთ, თუ საიდან მოიპოვა ბათუმის ექიმმა  
ასეთი განსაკუთრებით უფლება, რომელიც, სხვა რომ არა იყოს რა,  
საშინლათ ამცირებს მის კოლეგებს ხალხის თვალში.

რედ.

კვრ წარმოადგენდა, მაგრამ წარმოადგინეთ შეკლასე უფრო  
ის გაუწიწმობები ჩემ შენიშვნას, ასე რომ იმაზე სწორეთ  
ნათქვამი ქართული ანდაზა: «ვისაც ვიღბილი არ უჭამია, ვი-  
რცე არ აქწვისო». ბ. ბალანჩივაძეზე ბევრს არ ვილაზარაკებ და  
სულ უბრალოდ ხმას ჩავაწვევტინებ იმ წერილთ, რომელიც მე  
ქმძვერს ბ-ნმა ტენიკოსმა მისი დეკლარაციების მიმღებმა, ა.  
წერეთელმა. აი ეს წერილიც: „დიდით პატივცემულო კარზე  
სწინააღმდეგის მე! მე მართლა დაუკველი ბ. ბალანჩივაძეს დე-  
კლარაციებზე 23 კან. თითო ოთხკუთხედ აწმინზე, ასე რომ  
სულ მთლათ მიესალვიდნ დაჯელდა 68 მან. და 77 კან., მუ-  
შაობის უვარგისობის გამო“.

კარგათ ჩაუკვირდეს ბ. ბალანჩივაძე უგანასკნელ საზ გა-  
სიულ სიტუაციას. როგორ იფიქრობთ, მეთისკველო, თქვენ რომ  
შეუკვეთათ რომელსამე მოსელეს რამე და მეჩე მას ფასი და-  
უკველოთ, დაგეთანხმებით ის მოსელე, თუ ვი შენაკვეთი სწორეთ  
სინდისიკრათ არის გაკეთებული? ეს ფაქტი ნათლათ ამტკი-  
ვებს, რომ ბ. ბალანჩივაძეს დაუწუნეს მუშაობა და ფასიც  
დაუკვლეს მის ნამოქმედარზე. ამის შემდეგ მე მეტათ მიმანნის  
ლაზარაჟი ბ. ბალანჩივაძის დეკლარაციების უვარგისობაზე, თა-  
რემ შემქმლო ნათლათ დამემტკიცებია ყოველი ნატრის უვარ-  
გისობა.

ბ. ბალანჩივაძე ბრძანებს მე 400 მ. არ მიმიღია 280-  
მან. მივიღეო, ეს მართლათ, მაგრამ რადგანაც მასი დეკლარა-  
ციები დაწუნეს, მიიღეს ის, რაც დასატული ჰქონდა და სხვა  
აღარ გააკეთებინეს. ამით ვათავებ ბ. ბალანჩივაძესთან ყოველ-  
ნაირ კამათს ამ საგნის შესახებ და გადავივარ ბ. სტენის მო-  
ყვარის ვასუსზე.

ჩვენ გორესზონდენციასი ის აზრი, გამოვთქვით, რომ პრე-  
ვიციებში წარმოდგენები, ნამეტურ მაშინ, როდესაც ივინი სალ-  
სისთვის იმართება, საუკეთესოთ უნდა მოეწიოს, ვინმე ქალა-  
ქში თქო, და თუ რატომ უნდა იქნეს ეს ასე, ამის შესახებ ჩემი  
მოსაზრება მაშინ ნათლათ გამოვთქვია. ბ. სტენის მოყვარე ამ-  
ბობს, რომ ეს შეუძლებელიაო, ჩვენ ვი კიდევ ვიძიარებთ,  
რომ შესაძლებელია თუ ნიკთიერი რამე დაბრკოლება სელს არ  
უშლის ამას. ჩვენ ვი ნიკთიერი დაბრკოლება, ესე იგი ფულის  
უქონლობა სელს არ გვიშლის. ქუთათურებს კელეკით 150 მან-  
ეთი+შემოსავალი (50—80 მ.) და თატრიც მექათათ. ეს  
ფული ვი მე ისე ცოტათ არ მიმანნია, რომ კანმა რიკანათ  
კვრ მოაწიოს წარმოდგენები. გადავივარ ისევე სალსური წარ-  
მოდგენების მნიშვნელობაზე. როდესაც ჩვენ ვმართავთ სა-  
სალსო წარმოდგენებს, ჩვენი უმთავრესი მიზანი ის უნ-  
და იყოს, რომ სალსს გაუღვიძოთ ნამდვილი გემოვნება  
და სიყვარული ხელთახებისადმი, რომელიც ამ შემთსკვეთში  
გამოისატება დრამასა და კომედიებში. მე სრულათ ვეთან-  
ხმები ბ. სტენის მოყვარეს, რომ უბრალო სტენის მოყვარე-  
ნიც ვი მართავენ პრევიციებში წარმოდგენებს, მაგრამ აქ დი-  
დი განსხვავებაა მიზნებში; აი, მაგ., ამას წინათ მეც გაუმართე  
წარმოდგენა ჭიათურაში, მაგრამ აზრათაც არ მექონია, რომ ეს  
წარმოდგენა სალსისთვის ყოფილიყო; ჩემი აზრი იყო რა-  
გორმე ბევრი ფული შემეკრებინა და ერთი რამესთვის მო-  
მენძარებინა. იმატომაც ფასებიც მისთანა დავადგინე, რომ სა-  
ლსისთვის სელმითწვედნელი ყო. ამისთანა წარმოდგენებზე  
ესწრებინა პრევიციის ანისტოკრატია და ვატრები და მთ-  
თან მაინც და მაინც ცუდათაც რომ ჩაიაროს წარმოდგენამ არა  
უმაკ-რა, რადგან ბევრჯელ უნსაკეთ იგევე ვიკსები ქალაქში  
და სტენის მოყვარენი რას:კვირკველია, კვრ გააკვირებენ მათ;  
მხოლოთ აქ თავი და თავი ის არის რომ, წარმოდგენამ თა-



ვის მიზანს მიაღწიოს, ესე იგი შემოსავალი იქნეს ბლომით. სულ სხვა ხალხური წარმოდგენა. აქ სიტუვა ხალხური თავისთავაი ხსნის, თუ როგორ უნდა იყოს ეს წარმოდგენები, თუ კი, ვიძულებით, ნივთიერი მდგომარეობა არტისტებს სელს არ უშლის, რომ წარმოდგენამ კარგათ ჩააბროს.

შემდეგ სტენის მოყვარე ბძინებს: ვერ ორჯერ გავმართეთ წარმოდგენა; შიშველათ მოვიწვიეთ არტისტი, და რა იცის ბ. მოდებამდე, რომ შემდეგ შიშვ: არ მოვიწვიეთ ვისმესო. მე კი მოკვასსებუ: ამაზე, რომ ორივეჯერ უნდა მოვიწვიოთ არტისტები, რადგან მსელი ზიესები იყო ორივეჯერ. ბ. სტენის მოყვარეს არ მიანია «ციმბირული» და «ბიძისათან გამოსუმრება» მსელ ზიესებათ. ხვენ კი ვამბობთ, რომ სწორეთ ორივე ეს ზიესა მოითხოვს გამოცდილ არტისტებს. მე რამდენათაც ვიცი, ქ-ნ საფაროვის შემდეგ თფილისშიაც კი ემსლებათ «ბიძისათან გამოსუმრების» თ:მაში. აღბათ კი უფილია საჭირო ამ ზიესისთვის გამოცდილი ნიჭიერი არტისტი. რაც შეესება ბ. სტენის მოყვარისგან მოყვანის ანგარიშს, მე არათუ ვიცი არ შემაქვს მის სინამდვილესე, მხოლოთ ამასთანავე შევთხოვ ბ. სტენის მოყვარეს, რომ ნურც იგი შეიტანს გჭეს ჩემ სიტუვებში, რომ «ერთმა პატარევემელმა წვერმა დრამატული საზოგადოებისამ მითხრა, რომ 100 მ. გავმართავდი წარმოდგენებსო. მე არ ვიცი რა ანგარიში ქქონდა ბ. წვერს. ადვილათ შეიძლება იმათ თავიანთივე ზედ წაადგან ცოტა რამ, მაგრამ სამაგიეროთ ისანი მიაღწევენ ერთ იმ მიზანთაგანს, რომელიც მათ წესდებაში უწერიათ; ასე თუ ისე წინდაწინ ვერ ვიტყვიოთ, თუ რა მსასრებთ აიღებს დრამ. საზოგადოება ამ საქმეს, შეიძლება სულაც არ აიღოს, მხოლოთ რომ ნამდვილათ ზემოთე სიტუვები მითხრა მე ერთმა წვერთაგანმა; ამაზე დავაწმუნებ ბ. სტენის მოყვარეს და თუ სურს, კიდევც ვაბრძვი, თუ ვინ არის ეს პატარევემელი ზირი.

დასასრულ არ შემიძლია განმეორებით არ შევნიშნო შემდეგი: თუ გვსურს, რომ ქართულმა წარმოდგენებმა კარგათ ჩაიბროს და ნამდვილი სმსახური გაუწიონ ხალხს, საჭიროა: ან უნდა ადვილი ზიესები წარმოკადგინოთ, ან და მოვიწვიოთ უმთავრესი როლის აღმასრულებლათ უთუოთ არტისტი, ყოველი მიზანი უნდა გადავვკათ, გარდა იმისა, რომ ეს წარმოდგენები ხალხისთვის იმართება და, მასთანავე, ვეცადოთ, რომ ყალბი შეხედულება არ შეიღებინოს ხალხმა წარმოდგენებზე და თუ ატრჩე.

კ. მოდებაძე.

ქ-ნო რედაქტორო! უმოწილესათ გთხოვთ ამ წერილს ადგილი დაუთმოთ „კვალის“ მხლობელ ნომერში.

ერთობ აწვილ-დაწვილია ჩონატარის სამკითხველო, როგორც გეტობა ის მეტ ბარგათ გამსდარა აქარებისთვის; არც ბიბლიოტეკარი, არც გამეკ და არც მკითხველი. მხოლოთ შენობა და ორი წიგნავილ დაწმენილა. წარმოდგენათ, დღემდი შენობისთვის საკუთარი ადგილიც არ შეუძენათ და თუ რომელიმე ვაჭარს სახლის აშენება მოუნდა, ყოველთვის იყოს სამკითხველოს წაჭარავს—იქით გასწიე, აქ მე ვდგებო. ასე საწყალი ჩინი-ჩინით სულ მალე აიბარება საუკუნო. ბ. გამეკს ასეთ წრმადლებსთვის არა სცალია; ბიბლიოტეკარი გამეკს საკუთარი საქმეებისთვის უფრო უკვს, ვინემ ბიბლიოტეკისთვის. შენობაში წვიმა ჩამოდის. ახსად არ იწერება ვის რა წიგნი წაუღია, ან მოუტანია. ამასთან გამეკ ერთობ მიუდგომელი აღმიანია, მასთან მოლაპარაკება არ სერსდება. ამისთვის იძულებული შევიქნენი გარეთის საშუალებით მივმართო

მას, რომ ზასუხი გვიგოს შემდეგ კითხვებზე: 1) სამკითხველოთ იფულოთ აქვს რამე თუ არა?

2) შენობაში რომ წვიმა ჩამოდის, რათ გამეკ არ ცდილობს იმის შეკეთებას?

და 3) რისთვის ანგარიშის რვეულები არ გაქვთ, ვინ რა შემოსწიდა, ვინ რა წიგნები წაიღო?.

ან. უღენტი.

რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი.

**ქართული თეატრი.**

კვირას, 7 ოქტომბერს 1901 წ.

ქართული დრამატული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ახალი ზიესა

1.

**ვაცროებული იმედები**

კომ. 2 მოქმ. თსზ. ნ. ახიანისა.

II.

მძვენიერ ელენეს მამიებელნი

ფარსი 2 მოქმ. ვადმ. ა. ცაგარელის მიერ.

მონაწილეობენ: ქ-ნნი: ვაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ტასო აბაშიძე, გივიშვილისა და სხვ. ბ-ნნი: აბაშიძე, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, ურუშაძე, იმედაშვილი და სხვ.

დასაწყისი 8 საათზე. ფასები ჩვეულებრივია.

რეჟისორი ვ. აბაშიძე

შემდეგი წარმოდგენა 11 ოქტ.; მხალდება «ცხოვრება», დრამა 2 მოქმ., «ჯაღო სიყვარულისა», დრ. 4 მოქმ.

**თფილისის ქალაქის ვამგეობა**

ამით აცხადებს საყოველთაოთ, რომ თანახმათ ვაქეასიის სამოქალაქო უწყების მთავარმართებლის განკარგულებისა მომავალი არჩევნები თფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა მოხდება სამ საარჩევანო კრებაზე, რომელთაგან პირველ საარჩევანო კრებას შეადგენენ ამრჩევლები 1, 2, 3 და 4 პოლიციის უბნებისა; მეორეს—ამრჩევლები 6 და 7 უბნებისა და მესამეს 8, 9 და 10 უბნებისა. ქალაქის ვამგეობა შეუდგა რა საარჩევანო სიების შედგენას იწვევს უძრავ-ქონებათა პატრონთ ვაანთავისუფლონ თავისი მამულები დარჩენილი ვადასახადებისაგან; რომელიც ითვლენა მათზე პირველ ივლისამდე 1901 წ. ამასთანავე ის პირნი, რომელთაც უძრავი ქონება ანუ სავაქრო-სამრეწველო დაწესებულება ქალაქის რამდენსამე უბანში აქვთ, კეთილ ინებონ ადრევე ვანუცხადონ ქალაქის ვამგეობას, რომელ საარჩევანო კრებაზე სურთ მიიღონ მონაწილეობა ხმოსანთა არჩევნების დროს. (3-1)

სეოლა და ზანსიონი.

**ა. ვამუღაიშვილისა**

გადავიდა სტუბოციის ქუჩაზე, № 13. ოლგას ვიწრო ქუჩის (Ольгинский переулок) მხლობლოთ.

ამხალდებენ ყმაწვილებს სხვა-და-სხვა სასწავლებლებით სათვის. (4-2)